619
1976
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

მაისი
№ 5 1976 წ.

# დიდება 1 მაისს, შრომას, მშვიდობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარ ირაკლი გორდელაძის პლაკატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# დროშა

№ 5 (473) მაისი, 1976 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა


© „დროშა“, 1976


მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია.

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ მდივანი).
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი
კორექტორი ქეთევან წერეთელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენსადგურიდან შავ ზღვამდე

13033

მეათე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულია, რომ ენგურჰესის მშენებლობა 1977 წელს დამთავრდეს.

ამ უნიკალური მშენებლობის ერთ-ერთი ობიექტია მიწისქვეშა ელსადგურის ორიგინალური ნაგებობა, რომელიც მუშათა დასახლების — საბერიოს მიდამოებში უნდა ჩადგეს მწყობრში.

მიწისქვეშა ელსადგურში წყალი შევა სადაწნეხო-სადერივაციო გვირაბის საშუალებით. გვირაბის სიგრძე 15 კილომეტრია. მიწისქვეშეთში ამუშავდება ხუთი ჰიდროგენერატორი, რომელთა საერთო სიმძლავრე 1.300.000 კილოვატი იქნება.

საბერიოს მიწისქვეშა ელსადგურიდან გამოსული წყალი ერთმანეთის მიყოლებით ჩარიგებულ ოთხ პატარა ელსადგურსაც აამუშავებს.

ენგურჰესის კომპლექსის ამ რთულ ნაგებობათა მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს თავის ნარკვევში ინჟინერი, მწერალი მედეა შავლიაშვილი.

დედამიწის ზედაპირიდან ას ორმოცდაათი მეტრით ჩაქვესკნელებულ გენსადგურში მივდივართ. ჩემი მეგზურია ახალგაზრდა ინჟინერი სულიკო თელია.

ყურადღებით შევცქერი ბოლოდაკარგული გვირაბის შეუმოსავ ჭერსა და კედლებს. შეუმოსავს იმიტომ, რომ იგი მხოლოდ საამშენებლო შტრეკია, რომელმაც გვირაბგამთხრელები ძირითად, თითქმის ათმეტრიანი დიამეტრის მქონე სადაწნეო გვირაბამდე მიიყვანა.

შემოსვა იმ სადაწნეო გვირაბისა თქვით: ნახევარმეტრიანი ბეტონის (ალაგ-ალაგ რკინა-ბეტონის) სამოსის გადაღმა, გვირაბს სამჯერა აქვს გაკეთებული ცემენტის ხსნარის ინექცია, რომელმაც, ჯერ ერთი, ამ სამოსსა და კლდეს შორის სიცარიელე უნდა ამოავსოს, მერე — აფეთქებისა თუ წყლის მცდელობით კლდეში გაჩენილი ბზარები უნდა გაამთელოს და გაჯანსაღებული კლდე ზურგიდან შემწედ ამოუყენოს ბეტონს.

გენსადგურში იმ გზით შევედით, რომლითაც ორიოდე წლის შემდეგ გოლიათური ძალის წყალი შეგრიალდება და პირველ ტურბინას დაატრიალებს.

ეს ქვესკნელი სულიკო თელიას სამფლობელოა. იგი უბნის უფროსის მოვალე ჩაავას მოადგილედ მუშაობს.

ეს ის მოვალე ჩაავაა — ადამიანის გამძლეობაზე ჩვენს ინჟინრებში აქამდე გავრცელებული შეხედულება რომ გააბათილა: არავის სჯეროდა, ამდენ ხანს მიწისქვეშ მუშაობას ასე თუ გაუძლებდა კაცი.

მომავალი გენსადგურის კონტური იმოდენაა, რომ მისთვის გამოთხრილ სანგრევში თბილისის ერთ-ერთი სასტუმრო „ივერია“ მთელი თავისი სიგრძე-სიგანითა და სიმაღლით ლაღად მოთავსდება. გულგამოჭრილი კლდიდან იმდენი და ისეთი ანკარა წყაროები გადმოჩხრიალებენ, რომ მათ მთელი დასახლების სასმელ წყლად გამოსაყენებლადაც ვარაუდობდნენ. ძლიერი საქაჩი ტუმბოები დღე და ღამე ზევით ექაჩებიან ამ წყალს. ღმერთმა ნუ ქნას, ელექტროდენის სადინარი სადმე დაზიანდეს, წყალსაქაჩი დადუმდეს. ორიოდე საათსაც ვერ გაუძლებს მიწისქვეშეთი უსინათლობას: ეს უზარმაზარი დარბაზი ჭერამდე წყლით შეიტბორება.

სად ჩაიმუხლებ? ჩაიმუხლებ კი არა, ვინ იცის, რამდენჯერ გადაუბამს სულიკო თელიას სამუშაო დღის ორი ცვლა ერთმანეთზე და როდის-როდის გახსენებია, რომ ბეტონის მზიდავი შოფრებისათვის ეთხოვა, — მეორე გზობაზე ხელს პური და ძეხვი გამოაყოლეთო.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# მეათე ხუთწლედის მშენებლობებზე

მერე სულიკოცა და მისი მგლისმადიანი ბიჭებიც: იგორ ლატარია, ჯანსუღ კუკავა, სერგო გორეზიანი და სხვები ზეზეურად შესევიან თონიდან ახლად გამოღებულ, გვერდებდაბრაწულ პურს...

ოცდაორმილიმეტრიანი არმატურის ბადესთან ვჩერდებით...

აქაურებივით „ქალბატონობით" არ მომმართავს სულიკო, რაკი მამამისის ამხანაგი ვარ; ვერც „დეიდას" მეძახის ჩემი სამუშაო დაწესებულების — ჰიდროპროექტის თანამშრომლების შვილებივით, რადგან კოლეგები ვართ, საქმით დაკავშირებულები. ამჯერად, როგორც პროექტის წარმომადგენელმა, ამ ბადის კეთილსაიმედობა უნდა დავუმოწმო, დაბეტონების დასტური უნდა მივცე, აქტზე ხელი უნდა მოვაწერო. ჩემზე ადრე ამ აქტს ძალოვანი კვანძის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი აწერს ხელს, ჩემს შემდეგ მოაწერენ: საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური მშენებლობის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენლები და კიდევ სხვები და სხვები.

სიღრმით უბადლო მიწისქვეშა შენობაში კანტიკუნტად მიდი-მოდიან მუშები. ჯერ ერთი, რა ხალხმრავლობა. დაეტყობა ამ უკიდეგანო დარბაზს? გარდა ამისა, ხალხის სიჭარბე ვის რაში სჭირდება, როცა ყოველგვარი სამუშაო თითქმის სრულიად მექანიზირებულია.

გენსადგურიდან გამოსასვლელად იმ გვირაბს ვირჩევ, რომელშიაც ტურბინებთან ნამუშარი წყალი გაივლის მომავალში. მას წყალგამყვანი გვირაბი ჰქვია. თავის დროზე ამ გვირაბის ერთმა უბანმა ბევრი ჭირის ოფლი აღვრევინა გვირაბგამყვანებს. ვინ იცის, რომელი ქვეყნის სპეციალისტების მეთოდი არ იქნა განხილული ამ ვერაგი და უნდო ქანების გასამაგრებლად. ბოლოს ისევ ქართველი ინჟინრების: ცნობილაძის, მაისურაძის, ოკუჯავასა და სხვათა ალღომა და გამოცდილებამ იმარჯვა. მართალია, კუს ნაბიჯით მიდიოდნენ — თვეში სამ-ოთხ მეტრს ძლივს ანგრევდნენ და აბეტონებდნენ, მაგრამ მაინც ეს ხერხი აღმოჩნდა ყველაზე იაფი და სანდო.

ამ უზარმაზარი გვირაბებიდან დღე და ღამის მცნება განდევნილია. ყელსაბამივით ასხმული ნათურები ბნელსა და უკუნს ციმციმით ანათებენ. ახლა ჩვენს ზევით, მზის ქვეყანაში ხეები ჩრდილებს იგრძელებენ, საბერიოში სამმართველოს თანამშრომლები საშაბაშოდ ემზადებიან...

გვირაბიდან გარეთ გამოსვლა მოწიფულობის ხანაში კაცის მეორედ დაბადების სასწაულსა ჰგავს.

სიხარულის ელდასავით მოულოდნელად გამოჩენილი ლურჯი წყალსაცავი გორაკებს შორის ნებივრად ლივლივებს. ქვეყნიერებაზე ქარიშხალი რომ მძვინვარებდეს, ეს გორაკები უზარმაზარ ტბას ცივ ნიავს არ აკარებენ მაინც. მას ზედაპირს არც რამე აშფოთებს, არც რამე არხევს. ნიჩბოსნებმა სიმშვიდეში მას ბადალი ვერ მოუნახეს და ამიტომ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა, უკრაინელმა, ბულგარელმა თუ რუმინელმა ნიჩბოსნებმა ზამთარში საწვრთნელად აქ დაიდეს ბინა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ქართველ ნიჩბოსნებს ტბის ნაპირზე ხუთი ჰექტარი ფართობი გამოეყოთ სპორტული ბაზების გასაშენებლად.

დასახლების კლუბის კედელზე განცხადება გაჩნდა: ნიჩბოსნობისა და ცურვის სექციაში აქაურ ბავშვებს ეპატიჟებიან. ვინ იცის, ნიჩბოსნობაში მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი იქნებ საბერიოს სკოლაში ჯერ ისევ მოკლე შარვლით დადის...

აქამდე წყალსაცავში მხოლოდ მდინარე ერისწყლის თავანკარა წყალი გუბდებოდა, წვეთს არც რაიმეს ირევდა. შარშან, 30 ნოემბერს გზაგადახიდულ ენგურს წყალს დაესესხნენ და აქეთ აქნევინეს პირი, რადგან წყალსაცავიდან ზღვისაკენ მიმავალი არხის პირას ჩამწკრივებული ჰესების კასკადი ერისწყალს არა კმარობდა.

წყალსაცავისა და ზღვის დონის სხვაობის სიდიდის გამო, არხი თავდაპირველად თავქვე მეტისმეტად დაქანებული გამოდიოდა და გამრეცხი სიჩქარეების წარმოშობით იმუქრებოდა. დამპროექტებლებმა წყალს ენერგიის ჩასაქრობად გზა-გზა ჭები დაუხვედრეს. იმ ჭებმა იმდენი ბეტონი მოითხოვეს, რამდენსაც მომცრო ჰესებიც დასჯერდებოდნენ.

ამრიგად გაჩნდა ადრე დაპროექტებული ორის ნაცვლად — ოთხი ჰესი. პირველის დადგენილი სიმძლავრე ისევ 220 ათასი კილოვატი დარჩა, ხოლო მომდევნო სამი ჰესისა — ორმოც-ორმოცი ათასი კილოვატი.

ოთხივენი თავიდანვე ადგილის დედის სახელებით მოინათლნენ: „გალიჰესი", „მზიურიჰესი", „რეფიჰესი" და „გუდავაჰესი". შემდეგ მოხერხებულობისათვის, ბანკისა თუ სხვადასხვა საბუთებში ანგარიშგების გამარტივებისათვის, ვარდნილ „ჰეს-პირველად", „ჰეს-მეორედ", „ჰეს-მესამედ" და „ჰეს-მეოთხედ" გადაიქცნენ.

დღესაც, როცა მშენებლებმა წყალსაგდებ ნაგებობათა მზადყოფნა რა ხანია უპატაკეს მთავრობასა და ხალხს, როცა ენგურმა თავისი წყალი დიდსულოვნად წაახმარა, კასკადი მწყობრში ჩააყენა და აამუშავა, ჰესები ისევ ციფრებით იხსენიებიან. რაღა თქმა უნდა, მომავალშიაც ასევე დარჩებიან..

გიორგი ნატროშვილი თავის შესანიშნავ „ისტორიულ-ლიტერატურულ ძიებანში" ატეწთან მდებარე საარწივე ქედის, გუფთისა და სხვა სახელწოდებათა დავიწყებას იმითა ხსნის, რომ ოსმალებმა ქართველები პირწმინდად ამოულიტეს, ხოლო ახლებმა ახალი სახელები მოიტანეს და ძველები დავიწყებას მისცეს.

სახელთა ცვლას და ძველის მივიწყებას ჩვენი უგულისყურობითა და დაუდევრობით ზოგჯერ ახლაც ვაგრძელებთ...

რაც დღეს უბრალო მოუხერხებლობას ეწირება, მომავალში დასანანად შეიძლება გადაიქცეს. სახელი ხომ უაღრესად მნიშვნელოვანია ყველაფრისათვის. ვითომ ასე ძნელი საქმეა ამ ლამაზი სახელების: „გალიჰესის", „მზიურიჰესის", „რეფიჰესისა" და „გუდავაჰესის" აღდგენა?!

მკითხველო, უდიდესი გენსადგურიდან ულამაზეს ზღვამდე ყველაზე მოკლე გზით ვიარე და ზოგი რამ მოკლედ გაგიზიარეთ. ამ გზაზე გასაკეთებელიც ბევრია. სათქმელიც, მაგრამ უკვე გაკეთებული იმდენად შთამბეჭდავია, რომ ერთმა ქალარა ინჟინერმა თქვა: ერთთავად დიდ მშენებლობებს ვხელმძღვანელობდი, ახლა კი რასაც აქა ვხედავ, მაოცებს და ასე მგონია, აქამდე თითქოს ბავშვის ხუხულების შენებისათვის მომიხმარებია მთელი დრო.

მედეა შავლიაშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწისქვეშა ელსადგურის საგენერატორო-სამანქანო დარბაზი.

თარხან არჩვაძის ფოტო.



# ჩვენი მესტამ-ბენი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კუზმა გავრილოვი

დიდ სამამულო ომში დნეპრის გადალახვასა და შემდეგ მის მარჯვენა ნაპირზე გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მრავალმა საბჭოთა მებრძოლმა ისახელა თავი, გამოიჩინა სწორუპოვარი ვაჟკაცობა და მხედრული სიმამაცე.

...საჭირო იყო სატელეფონო ხაზის გაყვანა მდინარის ნაპირების დასაკავშირებლად. ჩქარობდა 703-ე ცალკეული ათასეულის მეკავშირე კუზმა გავრილოვი. თვითნაკეთ ტივზე ორი ხვეულა კაბელი, სატელეფონო აპარატი აათრია და მარჯვენა ნაპირისაკენ გაცურა. თითქოს ყველაფერი რიგზეა — მიცურავს ტივი და იჭიმება მავთული. მაგრამ შუა დნეპრიც კი არ გაეცურა, რომ მტერმა შენიშნა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი დაუშინა. ნაღმის გასკდომისა და ტალღის დარტყმისაგან ტივმა დაშლა დაიწყო. კუზმა მაინც წინ მიიწევდა. ბოლოს ტივი სულ დაიშალა. მეკავშირე აპარატითა და ხვეულა კაბელის ნარჩენებით წყალში აღმოჩნდა.

კვლავინდებურად სკდებოდენ ნაღმები. კაკანებდენ ტყვიამფრქვევები, ბორგავდა აქაფებული მდინარე, მეკავშირე კი თავის საქმეს აკეთებდა. ქანცგამოლეულმა, როგორც იქნა, ნაპირს მიაღწია. „გავიმარჯვე“, — გაიფიქრა ალტაცებულმა, მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა სიხარული. ვერც კი მოასწრო ნაპირის ფლატეს შეფარებოდა, რომ კავშირი კვლავ გაწყდა — მავთული დაზიანდა. მეკავშირე ისევ მდინარეში უნდა შესულიყო. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ყვინთვა-ყვინთვით მიაგნო დაზიანებულ მავთულს — კავშირი აღდგა.

ასე გაიმარჯვა კუზმა გავრილოვმა სიკვდილთან ბრძოლაში. კუზმას მიერ გაყვანილ ხაზს სიმამაცის ხაზი უწოდეს, ხოლო თვით მას საბრძოლო დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

კუზმა ანტონის ძე გავრილოვი უკრაინელია. 1930 წლიდან მისი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. აქვე დაამთავრა მან შვიდწლედი და მუშაობა დაიწყო 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ხარატად. როგორც კი დიდი სამამულო ომი დაიწყო, მაშინვე ფრონტს მიაშურა. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წლიდან, დღემდე თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბაში მუშაობს.

ბრძოლაში ნაწრთობმა ვაჟკაცმა შრომაშიც გამოიჩინა თავი. კუზმა გავრილოვს მინიჭებული აქვს „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ წოდება, დაჯილდოებულია „წარჩინებული მბეჭდავის“ ნიშნით და მრავალი საპატიო სიგელით.

ალექსანდრა არობელიძე

## შოთა დავითური

შოთა საამქროში ერთადერთი როდია. აქაურ მუშას, რომელსაც არ უნდა დაადოთ ხელი, ყველაზე გეტყვიან: საქმის მცოდნე და საქმის ერთგულიო. აქ ყველა მუშა ეამაყება სტამბას, მაგრამ შოთა დავითური მაინც სტამბის თვალია... შოთა დავითურს სხვა თვალი აქვს, სხვა ხელი. აგერ შოთას ნახელავი გაზეთი: თანაბრად განაწილებული საღებავებით, კარგად მოსწორებული კლიშეებით, ნათელი ტექსტით... საკითხავად იოლი — აი, ასეთი ოსტატური ბეჭდვით გაითქვა სახელი შოთა დავითურმა

შოთა დავითურს მბეჭდავის პროფესიის სიყვარული ძველმა პოლიგრაფისტმა გიორგი ჯაბადარმა ჩაუნერგა. მისი რჩევით მოვიდა იგი მაისის ერთ მზიან დილას „კომუნისტის“ სტამბაში. მბეჭდავ გიორგი მელნიკოვთან მოწაფედ დაიწყო მუშაობა. შოთამ თავიდანვე მუყაითობით ისახელა თავი და მალე დაეუფლა მბეჭდავის პროფესიას. გამომცემლობის დირექციამ ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა 1960 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაზეთ „პრავდის“ გამომცემლობის სტამბაში მიავლინა. სულ მალე იგი სტამბას მაღალკვალიფიციური მბეჭდავი დაუბრუნდა.

ოცი წელია რაც შოთა დავითური მბეჭდავად მუშაობს. იგი სხვადასხვა დროს ბეჭდავდა: „ზარია ვოსტოკას“, „იზვესტიას“, „პრავდას“, „თბილისს“.

ამჟამად „კომუნისტს“ და „სოფლის ცხოვრებას“ ბეჭდავს. შოთას მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა შოთა დავითურის საწარმოო-საზოგადოებრივი მუშაობა და იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

შოთა დავითურის მაღალ შრომით საქმიანობას კიდევ უფრო ალამაზებს და შინაარსიანს ხდის მისი მყარი ოჯახი. შოთას სამივე შვილი ექსპერიმენტული სკოლის საუკეთესო მოსწავლეები არიან.

ისე, როგორც შოთას დაბეჭდილი გაზეთი გამოირჩევა მაღალი მაჩვენებლებით, ასევე გამოირჩევა შოთა თავისი ადამიანური თვისებებით: პრინციპულობით, პირდაპირობით, დისციპლინით, საქმისადმი უზომო სიყვარულით.

ალექსანდრა სვანიძე

## ბეჭდვითი სიტყვა ხალხის სამსახურში

# საქართველო X ქალაქები

# უძველესი ქალაქის სიჭაბუკე



გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნუგზარ რუხაძე**

[illegible]ქალა ა მაგრამ მარად უბერებელი ქალაქი!— ა უწ დებენ ქუთაისს. იგი ერთ ერთ უძველესი ქალ ქია მსოფლიოში

შ ნაურმა ფეო ალურმა განხეთქილებამ, მომხვდურმა ურდ ებმა ბევრჯერ გათელეს ქუთაისი, გადაწვეს, აღგავეს ირისაგან მიწისა. მაგრამ სიცოცხლე მაინც ვერ ჩაკლეს — იგი ფენიქსისებრ აღდგებოდა ხოლმე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო დიადი აღმშენებლობის, წინსვლისა და აყვავების ხანა. ქუთაისი იზრდება ოთხივე მიმართულებით, იზრდება მისი ძველისძველი და ახალი უბნები — საფიჩხიიდან და მწვანე ყვავილადან, ბალახვანიდან და კახიანოურიდან — მაღლაკის, ვაკისუბნისა და ბანოჯის თვალსაწიერამდე.

შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, იქმნება თანამედროვე, კეთილმოწყობილი მიკრორაიონები და მასივები, იჭრება ახალი გამზირები და ქუჩები, რომელთაც ლამაზი შენობები, ვრცელი მოედნები, ბაღები და სკვერები ამშვენებენ.

იზრდება ქალაქის მოსახლეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აქ 42 ათასი კაცი ცხოვრობდა, თითქმის იმდენი, რამდენიც მის ერთ-ერთ ახალ უბანში — ავტოქარხნის დასახლებაში ცხოვრობს. ქუთაისის მოსახლეობა ახლა 200 ათასს აჭარბებს.

ქუთაისის სამრეწველო საწარმოები ამჟამად წელიწადში უშვებენ ათასზე მეტი დასახელების 570 მილიონი მანეთის პროდუქციას. ეს მთელს რესპუბლიკაში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ათი პროცენტია. ეს ხდება იმ ქალაქში, სადაც რევოლუციამდე სამრეწველო წარმოება თითქმის სრულებით არ იყო.

მრეწველობის ზოგიერთ დარგში ქუთაისს მთელს საქართველოში წამყვანი ადგილი უჭირავს. აბრეშუმის აქაური საწარმოო გაერთიანება რესპუბლიკაში გამოშვებული ქსოვილის 70 პროცენტს იძლევა. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში ყოველწლიურად 27 მილიონი მეტრი ნატურალური აბრეშუმი იქსოვება.

ჩვენს ქვეყანაში თავისი სიმძლავრით მესამეა ქუთაისის საკონსერვო ქარხანა. მისი პროდუქცია: ბოსტნეულის კონსერვები, ხილის ნატურალური წვენები, ტომატი, მარინადები ცხარე საწებელა და სხვ. იგზავნება ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში, ბამის მშენებლებთან, ციმბირსა თუ შორეულ აღმოსავლეთში.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ მაუდის ფაბრიკა, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა, ღვინის ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა, მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვა საწარმოები.

ქუთაისის მარკის ავტომობილებმა ქაიროს, ვენის, ლაიფციგის, ზაგრების, იზმირის, ქაბულისა და მსოფლიოს სხვა საერთაშორისო ბაზრობებსა და გამოფენებზე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დიდი აღიარება მოიპოვა. საავტომობილო ქარხნის კოლექტივი მეცხრე ხუთწლედში მოპოვებული წარმატებებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა ახლახან მთავარი კონვეიერიდან ჩამოიყვანეს ახალი ავტოგამწე „კაზ-608-ვ" სრულყოფილი კაბინით. მანქანა ქარხნის კონსტრუქტორებმა შექმნეს და უახლოეს დროში დაიწყება მისი სერიული წარმოება.

ფართოდ არის აღიარებული ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქცია, განსაკუთრებით ელექტროდამტვირთავი მანქანები, არტეზიული ტუმბოები, სხვა საშახტო მოწყობილობანი; ისინი იგზავნება მსოფლიოს 21 ქვეყანაში, მათ შორის: იაპონიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თურქეთში, ბოლივიაში, პაკისტანში, კუბაში...

საქართველოს ქიმიური მრეწველობის პირმშოს — ლითოფონის ქარხნის პროდუქციის საექსპორტო მარშრუტებია: დანია, ფინეთი, ნორვეგია, უნგრეთი, ავღანეთი. საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკათა მევენახეებს ქარხანა უზრუნველყოფს საუკეთესო ხარისხის შაბიამნით. რამდენიმე სახეობის პროდუქციას მინიჭებულ ა აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

ქუთაისელმა მშრომელებმა მეცხრე ხუთწლედში სამშობლოს ზეგეგმით 75 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცეს. პროდუქციის წარმოების მოცულობის მატება ძირითადად მიღწეულია შრომისნაყოფიერების ზრდით. ჩვენი ქალაქის მშრომელთა თავდადება სათანადოდ დაფასდა — ზედიზედ მეორედ დავისაკუთრეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს საპატიო ჯილდოები მიეკუთვნათ აგრეთვე აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, პურ-პროდუქტების საწარმოო კომბინატისა და პურკომბინატის კოლექტივებს.

...ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთი იშუშებდა სამოქალაქო ომითა და ნგრევით მიყენებულ ჭრილობებს, ძლიერ უჭირდა, მაგრამ რუსმა ხალხმა ვ. ი. ლენინის პირადი ინიციატივით დახმარების ხელი გამოუწოდა საქართველოს — საჩუქრად გამოუგზავნა მაუდის ფაბრიკა. რუსი სპეციალისტების ხელმძღვანელობით, ფაბრიკის მოწყობილობა მოკლე დროში დამონტაჟდა. პირველმა სოციალისტურმა საწარმომ გამოაცოცხლა ქუთაისი. სიმბოლურია, რომ საწარმო მხოლოდ პროლეტარიატის ბელადის სახელს ატარებს.

ინდუსტრიულ ქუთაისს აშენებდა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ხალხი. ავტოქარხნის მშენებლობისათვის მოწყობილობას გზავნიდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სლავიანსკის, გორკის, ულიანოვსკისა და სხვა ქალაქების ათობით საწარმო. რუსი და სხვა მოძმე ხალხების დახმარებით ჩადგა მწყობრში ელექტრომექანიკური, სატრაქტორო და სხვა ქარხნები.

უკანასკნელ წლებში ქუთაისში გაჩნდა გორის, ავტოქარხნის, ბუხაიძის ქუჩები, ისინი მაღლივი შენობებით დამშვენდა; აშენდა სამკერვალო-საწარმოო გაერთიანება „გელათის" ახალი ფაბრიკა, პრესის სახლი, ტურბაზა, სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, კულტურისა და დასვენების კერები.

ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის, თბილისის კონსერვატორიის ფილიალების გახსნა; გამოვიდა ლიტერატურული ალმანახი „გაჟთიადი", რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ქუთაისში მომუშავე მწერლები, შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო დაწესებულებები.

მეათე ხუთწლედში ქუთაისში გათვალისწინებულია არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია, ახლის მშენებლობა, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გადიდება.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება საავტომობილო, ელექტრომექანიკური, სატრაქტორო, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა და ლითოფონის ქარხნები, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება; დაიდგმება სამამულო და უცხოური მარკის ტექნიკური აღჭურვილობა.

მწყობრში ჩადგება ახალი საწარმოები, მათ შორის: ქარხანა „ავანგარდი", ტრიკოტაჟის ფაბრიკა, სამთო მიწათმოქმედების მანქანებისა და ტრაქტორების მსხვილი ქარხნები. ახალ კორპუსებში გადავა ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკა.

ფართო ჰორიზონტებია დასახული ქალაქის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საქმეში. საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის" შემოქმედებით ლაბორატორიებში იქმნება ქუთაისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ოცდახუთწლიანი გეგმა 1976-2000 წლებისათვის. გეგმა, პირველ რიგში, ქალაქის სწრაფ ზრდას ითვალისწინებს. ნავარაუდევია, რომ 1980 წლისათვის ქუთაისის მოსახლეობა მიაღწევს 250 ათას კაცს, ხოლო საუკუნის ბოლოს — 425 ათასს. გეგმის ძირითადი ამოცანაა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ახალი საცხოვრებელი კომპლექსების აგებისას გათვალისწინებული იქნება მხატვრულ-არქიტექტურული იერი, რომელსაც გასულ წლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ქალაქს დაამშვენებს ცხრა, თორმეტ და თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლები. 126 ბინიანი თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას უკვე ჩაეყარა საძირკველი გორის ქუჩაზე.

გეგმა ითვალისწინებს „ტურისტული ინდუსტრიის" შექმნას. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ქალაქსა და მის გარეუბნებში მრავლად არის უნიკალური ისტორიული ძეგლები.

ქუთაისის სოციალ-ეკონომიური განვითარების გეგმის მიხედვით მეათე ხუთწლედში დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდება. წელს დამთავრდება ახალი ხიდის მშენებლობა რიონზე, რომლის სიგრძე ერთ-ნახევარი კილომეტრია და ყველაზე ფართოა ქალაქში. ეს ხიდი შეაერთებს ჭავჭავაძის გამზირს წერეთლის ქუჩასთან.

ქუთაისელებს უკვე აქვთ სამხატვრო გალერეა, მალე ექნებათ: 1.100 ადგილიანი ფართოეკრანიანი კინოთეატრი, ახალი ავტოვაგზალი, პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, ბავშვთა სომატური სააგადმყოფო, ავტოტექნიკუმის ახალი კორპუსი, ახალი სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები.

სახელოვანმა ავტომშენებელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბორის ვაშაკიძემ გასულ ხუთწლედში ორი ხუთწლედის დავალება შეასრულა. ახეთივე რეკორდის განმეორებას აპირებს მეათე ხუთწლედში. დროს მნიშვნელოვნად გაუსწრეს ავტომშენებელთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა შუქრი გიგინეიშვილმა, ტრაქტორმშენებლებმა ჯემალ ხონელიძემ, ზაქრო მგალობლიშვილმა, ფეიქრებმა — სოციალისტური შრომის გმირმა ალექსანდრე გამყრელიძემ, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ზაირა ჭიბლაძემ, იზოლდა ბუაჩიძემ, მელიტონინე ოთარ დვალიშვილმა...

პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ქუთაისის განახლებისა და აყვავების დიადი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ქალაქის კომუნისტთა თოთხმეტათასიანი არმია შემოქმედებითად და აქტიურად წარმართავს მშრომელებს პარტიის დიად მიზანდასახულობათა შესრულებისათვის.

ქუთაისელ მშრომელებს დასახული აქვთ მოქმედების პროგრამა: ეს არის მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარება. ისინი ენერგიას არ დაიშურებენ, რათა პირნათლად შეასრულონ პარტიის მიზანდასახულობანი, გაადიდონ სამრეწველო პროდუქციის წარმოება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი, მუშაობაში მაღალ ეფექტიანობას მიაღწიონ, უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახადონ ქუთაისი — საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი.

ქუთაისის ერთ-ერთი უბანი.



ქუთაისის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია.





ქუთაისი. ერთი კუთხე.

თარხან არჩვაძის ფოტო.

ქუთაისის ავტოქარხნის კონვეიერი.



კარლო კობერიძე



# მე ვარ და ჩემი ნაბადი...

ერთხელ პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი გივი ძულიაშვილი მიყვებოდა ერთი ნამწყემსარი ბერიკაცის უცნაურ ამბავს. რა დასამალია და თავდაპირველად ეს ამბავი ბუხართან მოგონილ ზღაპრად მეჩვენა. ჩემს მოსაუბრეს გაეღიმა და მერე მითხრა, სიღნაღში თუ მოგიწიოს ჩასვლამ, იქვეა სოფელი ზემო ბოდბე, ორიოდე წუთით შეიარე და ჩემი სახელით ვანო ბეგაშვილი ინახულეო.

ეს შემთხვევაც მალე მომეცა — ორი დღის შემდეგ თბილისში მოვდიოდი, გზა გავიმრუდე, ზემო ბოდბეში შევუხვიე და ვანო ბეგაშვილი ვიკითხე. შენ ალბათ „ახოხილ ვანოს" ეძებო, ისე მიპასუხეს, არ გალიმებიათ. კახეთია, ჩემო ძმაო, და, ძალიანაც რომ არ გინდოდეს, მაინც მოგაკერებენ ზედმეტ სახელს! ვინც ვანოს სახლი მიმასწავლა, ჰუნებრივია, ისიც სოფლის ნათლული იქნება და, ვინ იცის, იქნებ მარტო თვითონ ახსოვს, რა სახელით სწერია ზონარგაყრილ დავთარში.

ისე შემხვდა ეს მადლიანი ბერიკაცი, თითქოს მისი დიდი ხნის ნაცნობი ვიყავი და რაღაც დაუდევრობით თუ მოუცლელობით, ეს ერთი ხანია, თვალიდან დავეკარგე. რა თქმა უნდა, არ გამკვირვებია ასეთი მონატრებისნაირი გულთბილობა: მთელი თავისი დღე და მოსწრება კინაღამ მწყემსობაში გაუტარებია. შეუსვენებლივ დადიოდა მთა-ბარში, დიდი ხნით მოსწყდებოდა ხოლმე ხმაურიან ქვეყანას, შინაურებს, ნაცნობებს. ზოგჯერ ვინმე გეოლოგს თუ წააწყდებოდა, ანდა ვინმე მგზავრს, მონადირეს... იმათაც ყოველთვის გაქცევაზე ეჭირათ თვალი და საუბრის ნელ-ნელა აწყობის დროც აღარ იყო — სათქმელი პირდაპირ, მოჭრით უნდა ეთქვა...

პირში აგონებდნენ „ახოხილოს" და არ სწყენია. არა მგონია, მაგრამ შეიძლება ჩემგან კი ეწყინოს. თუმცა, სათქმელად ღირს და იმიტომ ვამბობ: მისთვის ზედგამოჭრილია ეს ზედმეტი სახელი — სამოცდაათისაა უკვე და მაინც ეტყობა, ახალგაზრდობაში მაღალი, წარმოსადეგი კაცი ყოფილა.

ახალგაზრდობაში ვანოს სიღარიბემ ადრე დაადგა გარჯის უღელი. იმ დროს, ოცდაათიან წლებში, მილარის მინდვრებში ბამბას თესდნენ. ენთუზიაზმა იქით გაახედა ახალგაზრდობა და ვანომაც იქ დაიწყო მუშაობა ტრაქტორისტად. ერთხანს სახელი გაითქვა მილარის ბამბამ. მილარის ბამბამ და მილარის კოლომაც. იმ კოლომ კი ციება დამართა ვანოს, ბაბანი აუტეხა და ლოგინად ჩააგდო. ექიმებმა მალე წამოაყენეს ფეხზე და სასიკეთოდ ურჩიეს, ბარს გაერიდე და მთაში წადიო. მიდგა-მოდგა, მიიხედ-მოიხედა და ორწლიანი ზოოტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. ჯერ მესაქონლე ზოოტექნიკოსად მუშაობდა არხილოს კალოში, (ეს სოფელი მაშინ სიღნაღის რაიონში შედიოდა), მერე — მეცხვარეობის ბრიგადის ბრიგადირად, მერე — მწყემსად.

ბეჯითი გარჯით მოაღონიერა ოჯახი, შვილების სწავლის საზრუნავი გაუჩნდა და გაუგონარი ომიც დაიწყო. აკი იმ ომმა შეიწირა ვანოს შუათანა შვილი და დიდხანს, ძალიან დიდხანს დაავიწყდა სამხიარულო სიტყვა...

რაც ცხვარში წავიდა ვანო, მას აქეთ სულ არხილოს კალოს კოლმეურნეობაში მუშაობდა — ბალხსაც მიეჩვია და გზასაც. ოცდახამი ზამთარი მარტო შირვანის ზამთრის საძოვრებზე გაატარა; აიყრებოდნენ, ცხვარსაც აყრიდნენ და შირაქიდან შირვანისაკენ გაუდგებოდნენ გზას. ჩქარა ივლიდნენ — თხუთმეტი დღე უნდებოდნენ ამ მანძილის დაფარვას, უამინდობა შეაფერხებდათ — ერთი თვე.

ვანო ბეგაშვილმა ადრე აუღო ალღო მეცხვარის მძიმე საქმიანობას — შეეჩვია, გაიწაფა და აკი მცნობარიც გახდა; მერე კი უსასრულო გადასვლა-გადმოსვლისას — გზის გამკვალავი ფარაც მას ანდეს.

— რომ გითხრა, შვილო, თავდაპირველად არ მიჭირდა-მეთქი, ტყუილი იქნება. ყველა საქმე, რასაც ხამად ვეკიდებით, ძნელია; სიძნელე კიდევ, რაღა ჩემი გასწავლება, შიშს იწვევს. მერე ხედავ, მარტო არა ხარ და თანდათანაც ერჩევი. უფრო მაშინ გამოგიკეთდება გუნება და გასაქცევი გზის ძებნაზედაც ხელს აიღებს, როცა ჩაუფიქრდები და საქონლის ყადრს გაიგებ. გონიერია პირუტყვი, შვილო, არ თქვა, უენოა და არაფერი ესმისო! როგორც მოექცევი, ისე დაგიფასებს. მაშინ სხვა დრო იყო და, მეცხვარის სიმარტოვემ მეგობრად მიქცია ძაღლი, ცხენი და ცხვარი... ომიანობისას და მას მერე, რაღა დასამალია და, ქურდობა და დაცემა არავის ეუცხოებოდა. უფრო ჩვენ, მწყემსებს, გვემტერებოდა სხვათა ქონებასა და ავლა-დიდებისაკენ მიშტერებული ხალხი. ამიტომაც მთავრობამ იარაღი მოგვცა — არ გინდობენ და არც თქვენ დაინდოთო. მაშინაც მე მებარა გზის გამკვლევი ფარა. ბედად, ისეთი ცხენი მყავდა, ისეთი გონიერი, უძილობით დაავადებული ყარაულიც ვერა სჯობდა — მთელ ღამეს ჭოტივით იყო, ფაჩუნს ვერ გამოაპარებდი... შემოდგომაა, ცხვარს მივერეკებით ზამთრის საძოვარზე... შირვანში ერთი ადგილია, ქურდამალი ჰქვია — არეზს აქეთ არის. ღამის გასათევად იქ დავდექით ბინა. როგორც წესად მქონდა, ცხენს მარტო უნაგირი მოვხსენი და გვერდით დავიბი... გზაზე გაკრული მწყემსის ძილი რაღაა: თავს მისდებ უნაგირზე და ძილ-ღვიძილში ხარ!.. შუაღამეა, ცხენმა დაიფრუტუნა. ყურადღება არ მივაქციე. მერე, როცა ფეხებიც დააბაკუნა, წამოვხტი და მოვიმარჯვე იარაღი. საითაც ცხენი გამტერებოდა, იქით გავიხედე და ბინდ-ბუნდში წაკუზულ კაცსა ვხედავ — ფარისაკენ მოიპარება. დავჭყივლე, გაჩერდი-მეთქი. არ გამიგონა და ვესროლე. თოფის ხმაზე წამოიშალა მწყემსობა. მივედით და რასა ვხედავთ! — კაცი გდია მიწაზე, ფეხშია დაჭრილი და ტკივილისაგან ოთხად არის დაკეცილი. ვეუბნები — რა გინდა, კაცო, ერთი ცხვრის გულისთვის რას მეკვლევინები, გეთხოვა, დალოცვილო, გაჩუქებდი-მეთქი. გავიგეთ, სადაურიც იყო, ვინც იყო, დავუდეთ ურემზე და შინ მივიყვანეთ. ბერიკაცი შემოგვეგება, იმ დაჭრილის მამა, გაიგო ყველაფერი და გული აიმღვრია. რატო არ მოკალით, ეს ჩემი ოჯახისა და გვარის შემარცხვენელიო... გაზაფხულზე შირვანიდან რომ ვბრუნდებოდით, ღამის გასათევად ისევ ქურდამალში დავბინავდით. ერთი აზერბაიჯანელი თათარი მოვიდა და მეკითხება, ბეგა რომელიაო — ბეგასაც მეძახიან. მოკვდა-მეთქი. კინაღამ იტირა — ნეტა ის არ მომკვდარიყო და ფეხის ნაცვლად ისევ გულში მომხვედროდა მისი ნასროლი ტყვიაო. ველარ მოვითმინე და გამეცინა. დიდად გაიხარა. წაგვიყვანა მწყემსები და კაი პური გვაჭამა. ამის შემდეგ თუ ვიქურდო, კაცი არ მერქვასო. მას მერე დავუონაღდით... ჰო, ცხენმა გამახსენა ეს ძველი ამბავი, შვილო...

ვანო ბეგაშვილი ცხვრის მცნობარი — დამდოლებელია. რაც დიდი, თავისებური ნიჭისა და დაკვირვების, ალღოს წყალობაა. ცხვარი რომ მოიგებს, ორი-სამი დღე თავის ბატკანს ვერ ცნობს და მცნობარი მწყემსი უნდა მიეშველოს. ზოგჯერ დედა ცხვარი არ იგუებს, უცხოობს თავის ბატკანს, როცა უამინდობაა, განსაკუთრებით მაშინ. შვილის მოძულე ცხვარს ბატკანთან ერთად მწყემსი კორაკანში სვამს — ეს კორაკანი პატარა მოღობილია, ისეთი პატარა, ძლივს ტრიალდება ცხვარი. ვანო ბეგაშვილი ათას სულ ცხვარში იცნობს, რომელი რომლის ბატკანია. მართალია, უკვე ორი წელია თვალის სინათლე დააკლდა და პენსიაში გავიდა, მაგრამ დოლის დროს მაინც ეხმარება თავის მეგობარ მწყემსებს, — გამოიძახებენ ხოლმე და ვანოც დაუზარელად მოეშურება იქით. იმხელა ჯანი აქვს, ორმოცი წლის კაცს შეშურდება, ოღონდ თვალის სინათლემ უღალატა და ეს ექცა სადარდელად ახე ხალისიან, მხიარულ ბერიკაცს.

ვანო ბეგაშვილის ეზოში რომ შემოვედი და მივიხედ-მოვიხედე, წკმუტუნმა საქათმისაკენ შემატრიალა: ბოძზე მოვლილი, ნაპატივები ძაღლიება და კუდს მიქიცინებდა. ისე, სხვათაშორის ვიკითხე, ასეთი ძაღლი რათ გინდათ, უცხოთა ვარ და ჩემგან მოფერებას თხოულობს-მეთქი.

— მე გავწვრთვენი და იმიტომ, — ეღიმება ბერიკაცს, — ჭიშკრიდან შემოხვედი და ამით გუმანობს, სამტროდ რო არ იქნები მოსული. აბა ერთი ღობეზე გადმოდი, ნახავ, რა დღეში ჩავარდები — ცნიასით აიკლებს აქაურობას... ზაფხულობით თრიალეთზე ავვდიოდა ცხვარი, უფრო ხშირად — დუშეთის რაიონში. ერთხელაც გზაში უპატრონო ძაღლი ვიპოვნე — შიმშილს მთლად მიესიკვდილებინა. იმდენი ვეცადე, იმდენს მოვეფერე და საჭმელ-ნოსაკენ ვაქნევინე პირი. ცალი ყური შავი ჰქონდა და ყურშა დავარქვი.

ერთხელ, ახალი შეღამებული იყო, ძაღლებმა საშიშროების სუნი იყრეს და ლავლავი ატეხეს. წამოვდექი, ჩემი ღმერთი გამიწყრა და უთოფოდ დავაპირე ფარის შემოვლა. როგორც წესი, ყურშა მომყვება უკან. ბუჩქებიან ფერდობს რომ დავუპირისპირდი, ყურშა გამოვარდა და ზედ ჩემს გვერდით რაღაცას ეცა ღრენით. მივიხედე და გული გადამიტრიალდა: დათვი დაგვხაფრებია და იმას ეცა დრუნჩში. ეცა და კბილი აღარ გაუშვა. ხან დათვია ქვეშ, ხან ძაღლი. გარკვევით არაფერი ჩანს და ხანჯალი ვერ [illegible], მეშინია, ყურშას არ მოვკლა. სხვა ძაღლები კიდევ მოშველების ნაცვლად, დაიმალნენ. ბოლოს გავბედე და ამ ააორიბულ გორგალს დავუშინე ხანჯალი. [illegible] დათვისთვის გულში ჩამიცია?! ღმერთო, რჯული, ალალბედზე იყო! აეს ტყავი, იმ დათვისაა. ისეც შემთხვევით მოხდა. არც მას იქით და არც მას აქეთ არაფერი არ მომკლავს. რომელი მონადირე მე ვარ!

ვანო ბეგაშვილის ეზო [illegible], მაგრამ ეს უკვე მოუვლელობის ნაკლად არა ჩანს: ათიოდე სული ცხვარი მყავდა და, პენსიაში რომ გავიდა, შინ მორეკა. მშვენიერი ორსართულიანი სახლის გვერდით საჩეხიანი ბოსელი აქვს, ბოსლის გვერდით — ფარეხი. აჩეხში, ბოსლის ფანჯარასთან ძველებური ტახტი უდგას — ღამე იქ წევს და იქ ძინავს. ცალკე მეუღლე ქეთომ, ცალკე შვილებმა და შვილიშვილებმა, რა არ ილონეს, რა არა, შინ ვერ შეიყვანეს დასაძინებლად.

— ყველა თავისი ჭკუით უნდა ცხოვრობდეს, ეგრეა! — ვერ აზერხებენ და, რა ჩემი ბრალია! თუ ცხვრის ფშინვა, ცოხნა არ მესმის, ისე ვერა ვძლებ და, რა ვქნა! — ხან ხევსურულად უქცევს, ხან — თუშურად, ერთი სიტყვით, ქიზიყელისა აღარაფერი სცხია, — თუ მაგათ მართლა ჩემი სიყვარული და ხათრი აქვთ, უცხო კაცი ხარ და, იქნებ შენი მაინც მოერიდოთ, უთხარი, ერთხელ და სამუდამოდ თავი დამანებონ! ვერ გაიგეს, რო მაგათი იავნანა არ მესმის?.. ღამეში ათჯერ მაინც უნდა დავხედო ცხვარს, შევაჭრიალო კარი, დავეხმარო, აქა ვარ-მეთქი. მაგრამ რა იციან, შვილო, როგორი ტკბილია, ცხვარი რომ თვალებში გიყურებს, ხელებში რომ მოგჩერებია, მაჭამეო; მაკეა, საცაა მოიგებს და მიშველეო... აქა, ამ ტახტზე ვწევარ, ლეიბადაც ნაბადი მახურავს, საბნადაც. სიცივემ ცოტა თუ არ მოგიჭირა, ისეთ ძილს რა მადლი აქვს, შენი ჭირიმე?.. განა მართლა იგრე ვარ გაველურებული, ვითომ სახლის ჭერ ქვეშ არა ვწოლილვარ? წოლით როგორ არ ვწოლილვარ, მაგრამ ძილი არ მეკარება. ეხლა, რას მირჩევ, უძილობით მოვიკლა თავი?.. მაგათ რა იციან, მაგ ჩემი ცოდვით სავსეებმა, როგორ ტკბილია გარეთ ძილი, როცა წვიმს და ცხვრის შიში კი არა გაქვს, იცი, არ დაგიცოვდებიან. როგორა ბრძანეთ?.. არა, ბატკანი ჯერ არ დამიკლავს და არც დავკლავ!.. აი, შვილო, როგორი საყვარლები არიან! ხომ ხედავ, რა კეთილი, ნათელი თვალები აქვთ! გამოვიყვან გარეთა და უკან დამდევენ, მოფერება უნდათ... მოვლენ ჩემი შვილები, შვილიშვილები, ბატკანი უნდა დაკლან. გავეცლები ხოლმე. უცხვაროდ ვერ გავძლებ, არ შემიძლია და ვერ გავძლებ — შევეგუე და შევეჩვიე, სიყვარული ხომ უფრო შეგუება და შეჩვევაა. ეგრე რომ არ იყოს, შენი თავი არ მომიკვდეს, მართლაც ძალიან გაგვიძნელდებოდა თუნდაც ერთი დღის ბედნიერად ჩამოღამება, განსაკუთრებით ჩვენ — ბერიკაცებს, ვისაც ახაკი გვაიძულებს ხშირად დავუფიქრდეთ ამ ქვეყნიდან წასვლის აუცილებლობას.

# სისხლის ლაბორატორიებში და კლინიკებში

## ახალი პრეპარატი

ცნობილია მრავალი წამალი, რომლებსაც სისხლის ამაღლებული შედედებით გამოწვეული სხვადასხვა დაავადების დროს იყენებენ. ეს წამლები ავადმყოფებში ხშირად იწვევენ არასასიამოვნო შეგრძნებებს, ზოგჯერ ტკივილებსაც კი.

მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის სწავლულებმა თავიანთ წინაშე დაისახეს ამოცანა — შეექმნათ ისეთი პრეპარატი, რომელიც დაზღვეული იქნებოდა ზემოჩამოთვლილი უარყოფითი თვისებებისაგან.

ხანგრძლივი ძიებისა და ექსპერიმენტების შემდეგ ჩვენმა სპეციალისტებმა შეძლეს დაემზადებინათ ახეთი პრეპარატი. ახალი წამალი, რომელსაც „ფეპრომარონი" დაარქვეს, აქვეითებს ავადმყოფთა სისხლის შემდედებლობას, არ იწვევს მათში უსიამოვნო შეგრძნებებს.

მრავალ ქვეყანაში უკვე შეიძინეს ლიცენზია ამ ახალი წამლის დასამზადებლად.

## ორიგინალური დანადგარი

საბჭოთა სწავლულებმა ამას წინათ დაამზადეს ადამიანის ორგანიზმის კონტროლის ორიგინალური დანადგარი, რომელსაც შეუძლია ერთდროულად გაუკეთოს რეგისტრირება ოცდაათამდე მაჩვენებელს: სისხლის წნევას, სუნთქვას, პულსს, ორგანიზმის სხვადასხვა ადგილის ტემპერატურას და ა. შ.

ყველა ეს მონაცემი, გარკვეული სიმბოლური ნიშნებით, ტელეეკრანზე გამოისახება, მათი ფიქსაცია ხდება მაგნიტურ ლენტზე.

ახალი დანადგარი მალე დიდ გავრცელებას ჰპოვებს მედიცინაში.

## შენახვის ვადა გაიზარდა

როგორც ცნობილია, თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ის, თუ როგორ შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე შევინახოთ დონორებისაგან მიღებული სისხლი და ძვლის ტვინი.

ეს პრობლემატური საკითხი ხანგრძლივი ძიების შემდეგ წარმატებით გადაჭრეს საბჭოთა სპეციალისტებმა, რომლებსაც პროფესორები ვ. აგრანენკო და ა. ფედოტენკოვა ხელმძღვანელობდნენ.

მათ მიერ დამუშავებული მეთოდით სისხლის უჯრედებსა და ძვლის ტვინს ინახავენ თხევად აზოტში, მინუს 196 გრადუსზე.

სისხლი და ძვლის ტვინი ახლა აუცილებელ თვისებებს ინარჩუნებენ რამდენიმე წლის მანძილზე.

## ფოტოსურათები ტელევიზორის ეკრანიდან

ლენინგრადის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიაში შექმნეს ორიგინალური ხელსაწყო, რომელიც საშუალებას იძლევა ტელევიზორის ეკრანიდან გადავიღოთ მაღალი ხარისხის ფოტოსურათები.

ახალი ხელსაწყო-დანადგარით ტელეეკრანიდან ოპერატიულად მივიღებთ ხოლმე საჭირო ფოტოსურათებს, გარდა ამისა, იგი დაგვეხმარება სხვადასხვა მეცნიერულ კვლევაში.

ლენინგრადელი სპეციალისტების სიახლე, ეჭვი არ არის, მალე დიდ გამოყენებას ჰპოვებს მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში.

გვესაუბრება თანამემამულე

# არჩილ გელოვანი



ჟურნალ „დროშის“ კორესპონდენტი ილია ტატიშვილი შეხვდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გენერალ-პოლკოვნიკ არჩილ გელოვანს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

— პატივცემულო არჩილ, ჟურნალ „დროშის“ მკითხველებისთვის საინტერესო იქნება, ორიოდე სიტყვით მოგვიყვეთ თქვენი ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებზე.

— დავიბადე 1915 წელს, ლეჩხუმის მაზრის სოფელ სპათა-გორაში. ვსწავლობდი თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, რომლის დირექტორი იყო გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ზანდუკელი.

პატივცემულმა მიხეილ ზანდუკელმა სკოლაში მიღების დროს პირადად გამომცადა და ისეთი კმაყოფილი დარჩა ჩემი საერთო ცოდნით, რომ 7 წლის ბიჭი მესამე კლასის მოსწავლედ ჩამრიცხა.

საშუალო სკოლა დავამთავრე 1929 წელს, 14 წლის ასაკში. სხვათა შორის, აქვე მინდა გავიხსენო ერთი ამბავი. გამოსაშვებ კლასს სამახსოვრო სურათი გადაგვიღო ცნობილმა ფოტოგრაფმა ყვანიამ.

ოცდაათი წლის შემდეგ — 1959 წელს ჩვენი ჯგუფის წევრები ისევ შევიკრიბენით. იმ ხანებში უკვე ღრმად მოხუცებულმა ყვანიამ თავის საკმაოდ დაოსტატებულ შვილსაც კი არ ანდო ჩვენთვის სურათის გადაღება. რადგან მე დავიწყე, ვიდრე ცოცხალი ვარ, ბოლომდე უნდა მივყვე საქმესო, თქვა და ჩვენთან ერთად წამოვიდა ფუნიკულიორზე, უკვე შუახნის ხალხს ახლა მეორე სამახსოვრო სურათი გადაგვიღო იქ.

დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩემი პატივცემული პედაგოგები სიმონ ვაჩნაძე, ვასო აბდუშელიშვილი, ტერენტი ვეფხვაძე, ივანე ნიჟარაძე, დავით დონდუა, არჩილ ბაქრაძე, რომლებმაც დიდი უანგარო შრომით, ცოდნა და შრომისმოყვარეობა დანერგეს ჩვენს ახალგაზრდულ შეგნებაში.

— პატივცემულო არჩილ, როგორც გავიგე, ახალგაზრდობაში თქვენ თურმე საკმაო ნიჭს ამჟღავნებდით ფერწერაში. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პატივცემულმა მოსე თოიძემ სიამოვნებით მიმიღო თავის სკოლაში. სიმართლე გითხრათ, მე უფრო მათემატიკით ვიყავი გატაცებული. ეს გატაცება თანდათან უფრო ძლიერდებოდა, ბოლოს კი ამ მიდრეკილებამ თავისი გაიტანა. როდესაც დედაჩემი მოსე თოიძესთან მივიდა, რომ საბუთები გამოერთმია და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეეტანა, მხატვარმა განაწყენებით უთხრა: ცუდს აკეთებთ რომ მიგყავთ. თქვენი შვილი ფერწერაში ნიჭიერია და მისგან კარგი ხელოვანი დადგებაო.

ინსტიტუტში წარჩინებით ვსწავლობდი. არასოდეს დავივიწყებ ჩემს ღვაწლმოსილ ლექტორებს: ნიკოლოზ მუსხელიშვილს, ვიქტორ კუპრაძეს, გიორგი მუხაძეს, არჩილ ხარაძეს და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. სწორედ მათ მიერ მოწოდებულმა ცოდნამ და ჩანერგილმა შრომის სიყვარულმა მომცა საფუძველი დამეძლია ყოველგვარი სიძნელეები, ზედმიწევნით ამეთვისებინა ჩემი პროფესია.

სტუდენტობის დროს მივდევდი სპორტს, ვიყავი ინსტიტუტის კალათბურთისა და ფრენბურთის ნაკრების წევრი. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ თვალსაჩინო სპორტული მიღწევებიც მქონდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში ჩამრიცხეს.

— რამ განაპირობა თქვენი სამხედრო კარიერის დასაწყისი?

— საბჭოთა ხალხი ყოველთვის ფხიზლად იდგა ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მონაპოვრის სადარაჯოზე. 1939 წელს პარტიამ მოგვიწოდა კიდევ უფრო მეტად გაგვეძლიერებინა ჩვენი სამხედრო საზღვაო ფლოტი. ამ პატრიოტულ მოწოდებას მაშინვე ავუბი მხარი და ასპირანტურის ნაცვლად ჩემი ცხოვრება სამხედრო საზღვაო ფლოტს დავუკავშირე.

იმავე წელს ლენინგრადის ძერჟინსკის სახელობის სამხედრო საზღვაო უმაღლეს სასწავლებელში მიმავლინეს. სასწავლებლის კურსების დამთავრების შემდეგ უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტის წოდებით გამაგზავნეს შავი ზღვის ფლოტში. ოჩაკოვის გამაგრებულ რაიონში საზღვაო სამუშაოთა მწარმოებლად.

მალევე შევუდექით საქმეს. დავიწყეთ თავდაცვის ობიექტების მშენებლობა, სამეთაურო და სათვალთვალო პუნქტების მოწყობა, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამართვა და სხვა. ვმუშაობდით შეუჩერებლივ, დღესა და ღამეს ვასწორებდით, რადგან ვგრძნობდით, რომ ომის საფრთხე კარზე იყო მომდგარი.

— გთხოვთ გვიამბოთ დიდი სამამულო ომიდან რომელიმე ეპიზოდი, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ.

— სამამულო ომი, ჩემთვის, ახალგაზრდა სამხედრო ინჟინერისათვის ძლიერ ძნელი და მძიმე გამოცდა იყო, გამოცდა ვაჟკაცობისა და საინჟინრო ცოდნის გონივრული გამოყენებისა, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისათვის ბარბაროს ჰიტლერელთა შემოსევისაგან. ოდესა და ნიკოლაევი, ყირიმი და ქერჩი, ნოვოროსიისკი და ტუაპსე, 1941-42 წლების მძიმე ბრძოლები სამუდამოთ დარჩა ჩემს გონებაში. ვცდილობდი, ყოველნაირად ვცდილობდი არ შემელახა ჩემი პატარა საყვარელი სამშობლოს ღირსება, მე რომ გამზარდა და ბევრი კარგი რამ მომანიჭა.

— სამამულო ომიდან, ცხადია, ბევრი რამ დამამახსოვრდა. ასეთი ამბების დავიწყება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მე მაინც მოგიყვებით ერთ ეპიზოდს, რომელიც დღემდე არ შორდება ჩემს გონებას.

ომი მებრძოლის სინდისის, გონებისა და ვაჟკაცობის სასწორია; ამ სასწორზე მისხლობრივ იწონება შემართება, გონიერება, თავგანწირვა, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება. ზოგჯერ ჯილდოთა რაოდენობა, ორდენებისა და წარჩინების ხარისხი ყოველთვის ზუსტად როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ მებრძოლის დამსახურებას.

აი, ამის შესახებ მინდა მოგიყვეთ. ომის დაწყების პირველი შემოდგომა იყო. პერეკოპის მისადგომებთან ფაშისტთა ტანკებისა და არტილერიის წინააღმდეგ ფიცხელი ბრძოლა მოგვიხდა. მტრის ყუმბარა ჩემს მახლობლად დაეცა. აფეთქების ძლიერმა ტალღამ კონტუზიაში ჩამაგდო, გონება წამართვა და ძირს დამცა. ჩემმა მებრძოლებმა თურმე მაშინვე კოლმეურნეობის კლუბში გადამიყვანეს და საწოლზე მომათავსეს. როცა გონს მოვედი, იქ შემთხვევით მოვკარი თვალი ერთ ბრგე ქართველ ოფიცერს. იგი თურმე ბატალიონს მეთაურობდა. მისი ბატალიონი კუკრუკანის ნახევარკუნძულთან არიერგრადში იდგა და ჩვენი ჯარების უკან დახევას იცავდა. ჩვენ წუთიერად გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და იგი ისევ სასწრაფოდ დაუბრუნდა თავის ბატალიონს. ამ იშვიათი გარეგნობის ვაჟკაცმა თავისი შემართებით, თავგანწირვით და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მისი ვინაობა დაწვრილებით გამაცნო პოლიტხელმა. მითხრა, უშიშარი, ჭკვიანი, ყოველმხრივ ნისაბაძი, კაუივით ვაჟკაციაო.

გერმანელთა თვითმფრინავებიდან მალე დაბეჭდილი ფურცლები ჩამოყარეს. ფურცლებში ეწერა, რომ ის, ვინც სიაში აღნიშნულ ოთხ საბჭოთა ოფიცერს მოჰკლავდა, დიდ ფულად ჯილდოს მიიღებდა. სიაში ოთხ შეუპოვარ და გმირ ოფიცერთა შორის ერთი ჩემი ახლად გაცნობილი ბრგე ქართველი ოფიცერიც იყო. დასანანია, რომ მისი გვარი არ მახსოვს. იმედს მაინც არ ვკარგავ. მჯერა, რომ ამ მამაცი ქართველი კაცის ამბავს მაინც გავიგებ. რატომღაც დარწმუნებული ვარ, იგი აუცილებლად ცოცხალი გადარჩებოდა და გამარჯვებას იზეიმებდა. დიახ, იგი ლეგენდარული გმირი იყო, თუმცაღა მის მკერდს ოქროს ვარსკვლავი არ ამშვენებდა.

მე მინდა ვთხოვო საქართველოს ომის ვეტერანთა საბჭოს, დაგვეხმაროს ამ უცნობი ქართველი ოფიცრის ვინაობის დადგენაში, მის აღმოჩენაში.

— რას გვეტყვით იმ ქართველი გენერლებისა და ოფიცრების შესახებ, რომლებიც ახლა საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფებიან?

— ქართველი მებრძოლის შემართება და ვაჟკაცობა ძველთაგანვეა ცნობილი. ჩვენმა თანამემამულეებმა დიდ სამამულო ომშიც ისახელეს თავი. მათ შესახებ ბევრი დაიწერა და კვლავაც ბევრი დაიწერება.

საბჭოთა არმიის რიგებში დღესაც ბევრი ქართველია. მათ კარგი სახელი და ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი. საქართველოდან საბჭოთა არმია კარგ შევსებას იღებს. სიამაყისა და სიხარულის გრძნობით შეიძლება დავასახელოთ სამხედრო თეორეტიკოსი, გენერალური შტაბის აკადემიის კათედრის გამგე პროფესორი ირაკლი ჯორჯაძე, გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი გალაქტიონ ალფაიძე, ჩემი თანასოფლელი — გენე-





ძმაო ლადო
ანუ ბეგო ბრწყინვალე!

ამ ლალის წვენით
სიცოცხლე შენი!
შენს ფუნჯს, შენს ოჯახს, —
კოცნები ჩვენი!
როგორც ჩვენს ძმობას,
სიყვარულს შვენის!
დე, გაზაფხული
სულ ფეხქვეშ გეგოს
აილე ჭიქა,
შესვი, შეგერგოს! —
გკოცნის, გილოცავს
შენი ძმა ბეგო!...

გიგზავნი ერთ ვედრა კახურ ღვინოს, ბეგოსგან არჩეულს მთელს თბილისში, სწორედ ისეთს, როგორც შენს დახატულ სუფრებზე სვამენ ხოლმე შენი იკლიკანტები. გილოცავ დაბადების დღეს და გკოცნი ცოლშვილიანად, დანარჩენს პირადათ მოგახსენებთ.

ამ წერილს გიგზავნი იმ სარდაფიდან და შენი ხალხის ჟრიამულში ვსვამ შენს სადღეგრძელოს.

შენი გოგლა ლეონიძე

30 მარტი 1946.

# მხატვრის არქივიდან

1946 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს 50 წელი შეუსრულდა, ეს თარიღი მხატვარმა აღნიშნა და თავის ბინაზე მოიწვია მეგობრები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და სცენის ოსტატები. როგორც ცნობილია, გიორგი ლეონიძე ლადო გუდიაშვილის უახლოესი მეგობარი გახლდათ. ლექსი „ძმაო ლადო, ანუ ბეგო ბრწყინვალე", გოგლამ ლადოს დაბადების დღეს მიუძღვნა. მეორე ლექსი, რომელიც უსათაუროა და დათარიღებული არ არის, პოეტმა ექსპრომტად უთხრა მხატვარს. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ ლექსებს და ბარათებს, რომელიც ღვაწლმოსილმა მხატვარმა თავის არქივში აღმოაჩინა.

სალამი ბეგოს!

სალამს გითვლის ასევე ქობულეთი თავის ზღვიან-ტალღიან-ქაფიან-ფიჭვნარ-ქვიშიან-პლიაჟ-პალმებიანა!

რასა იქ და რასა ჰხატავ?

ძალიან გთხოვ, ამ წერილის მომტანს ახალგაზრდა მხატვარს ბარნაბიშვილს დაეხმარო, რომ სახელოსნო მიიღოს. არც ბინა აქვს, არც კუთხე, როგორ-ღა უნდა იმუშაოს?

ერთი ხმა შააწიე სახელოსნოს მიღების საქმეში.
სალამი ნინას! ბექიას!

შენი გ. ლეონიძე

12 ოქტ. 1962 წ.

მიყვარს ვით თასი ავსილი,
და როგორც ვარდი გაშლილი,
ოცნება ფაფარაშლილი
ლადო გუდიაშვილის!
მე მიყვარს ლადოს ოცნება
და ქაშვეთის კედლები
ახალო ბექა! შენთან ვართ
და შენ ოცნებას ვედრებით
აცოცხლე მარად, ჰყვაოდეს
გუდიაშვილის ედემი.

გიორგი ლეონიძე

# პაატა შამუგია

პაატა შამუგიას სპორტული ცხოვრება ასე დაიწყო. ჯერ ვარჯიშობდა მხოლოდ იმიტომ, რომ მოსწონდა, მაგრამ აი, მწვრთნელმა ფ. ასათიანმა „შეამჩნია" იგი და დაიწყო სერიოზული, ხანგრძლივი ვარჯიში. გავიდა სულ ცოტა ხანი და პაატა საქართველოს ჩემპიონი გახდა. 1972 წელს კი უფაში გამართულ სსრ კავშირის თასის მფლობელია. თბილისელი სპორტის მოყვარულები აღფრთოვანებულნი არიან თავიანთი ჩემპიონით.

„წუთიშესვენების" დროც კი არ იყო, პაატას ინგლისში, მსოფლიო თასზე გამართულ ჩემპიონატში უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს მხიარული და ხალისიანი ჭაბუკი ჩაფიქრებული დადის, დაძაბულია ვარჯიშის დროს, მაგრამ დამთავრდება თუ არა ვარჯიში ისევ ის ჩვეულებრივი პაატაა — სალმიანი, კეთილი, ყურადღებიანი. ალბათ, ამიტომაც უყვართ იგი მეგობრებს და ალტაცებულები ჰყვებიან მასთან ერთად გატარებულ ყოველ წუთზე.

1975 წელს ინგლისში პაატა შამუგია მსოფლიო თასის მფლობელი გახდა ბჯენით ხტომებში.

...და აი 1976 წელი, სსრ კავშირის ორმოცდამეორე ჩემპიონატი, პაატამ თავისი გუნდის ღირსება უნდა დაიცვას. ელლავენ თბილისელი სპორტის მოყვარულები, ღელავს მწვრთნელი ჰ. ბურჯანაძე, ღელავენ მეგობრები...

ოქროს მედალი ბჯენით ხტომებში, მეორე ადგილი თავისუფალ ვარჯიშში, მესამე — ორძელზე და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი — ასეთია პაატა შამუგიას დაუღალავი შრომის შედეგი.

— შესვენება?!

— არა!

ვარჯიში კვლევ გრძელდება, წინ კიდევ მრავალი სარბიელია!

ნუნუ გელაძე



პაატა შამუგია და მისი მწვრთნელი
ჰანს ბურჯანაძე.

რალ-მაიორი ვლადიმერ ლეშკაშელი, საზღვაო თვითმფრინავმშენებლობის დამსახურებული ავიოკონსტრუქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გენერალ-მაიორი გიორგი ბერიევი (იგივე ბერიშვილი) ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

— რომელი შეხვედრები უფრო დაგამახსოვრდათ?

— მქონდა მრავალი საინტერესო და ჩემთვის საგულისხმო შეხვედრები. შევხვდი ამხანაგებს კოსიგინსა და პოდგორნის, განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჩემი პირველი შეხვედრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან. ამ შეხვედრის შესახებ მინდა მოგითხროთ.

როდესაც საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მნიშნავდნენ, ლეონიდ ილიას ძეს მისაღებში ვიჯექი და ვღელავდი. თანაშემწემ შეამჩნია მატყო ეს მღელვარება და მითხრა: „ნუ ღელავთ, როგორც კი შეხვალთ და საუბარს დაიწყებთ, მაშინვე დამშვიდდებით".

ეს სიტყვები მართალი გამოდგა. ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა შესვლისთანავე გამიღიმა, ფეხზე წამოდგა, მომესალმა და მითხრა დაბრძანდითო. ისეთი უშუალო და თბილი საუბარი გამიბა, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვიყავით.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დაინტერესდა მებრძოლთა კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობებით, დახურულ ზონებში მათი სავაჭრო მომსახურებითა და მრავალი სხვა საკითხით, რომლებიც ჯარისკაცების ცხოვრებას შეეხება.

შემდეგ გაიხსენა ლესელიძესთან ერთად სოხუმიდან ფრონტზე გამგზავრების ამბავი. მიამბო ერთ ქართულ ოჯახში როგორ გაუმასპინძლდნენ და როგორი მშობლიური სითბოთი და სიყვარულით გააცილეს ფრონტზე. მერე ჩაფიქრდა და დასძინა. გენერალი ლესელიძე დიდი საბჭოთა მხედართმთავარი იყო, და საერთოდ, ქართველები გულითადი და თბილი ხალხიაო.

ჩემი ხალხის ასეთი შეფასების შემდეგ, ცხადია, უფრო მეტი პასუხისმგებლობით შევეჭიდე საქმეს.

— პატივცემულო არჩილ, როგორია თქვენი უახლოესი ამოცანები?

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩემი უახლოესი ამოცანაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება.

საბჭოთა არმია ჩვენი სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე დგას. იგი საიმედოდ იცავს ჩვენი ხალხის შემოქმედებით მშვიდობიან შრომას. ამიტომაც არის, რომ პარტია და მთავრობა ასეთ შეუნელებელ ყურადღებას იჩენენ ჩვენი შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის. მე ძალასა და ენერგიას არ დავზოგავ, თუ საჭირო გახდა, სიცოცხლესაც არ დავიშურებ ჩემი ხალხის, ჩემი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის, მისი აყვავებისა და ბედნიერებისათვის.



# დემნა შენგელაია

ჟურნალი „დროშა“ ულოცავს სახელოვან იუბილარს

1924 წელი იყო. სწორედ იმ ხანებში დაარსდა ქართული საბჭოთა მწერლობის პირველი სქელტანიანი ჟურნალი „მნათობი“. მან ირგვლივ შემოიკრიბა ფუძემდებლები ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურისა. სქელტანიანი მხატვრული ჟურნალიურომანოდ წარმოუდგენელი იყო. და აი, პირველი ქართული საბჭოთა რომანი, რომლითაც „მნათობმა“ დაიწყო არსებობა — იყო დემნა შენგელაიას „სანავარდო“.

პირველი კვალის გატანა, პირველი ნაბიჯის გადადგმა ძნელია, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ქართულ პროზას უმდიდრესი წარსული ჰქონდა — როგორც შორეული, ისე ახლო წარსული. ამ კარგ ტრადიციებზე, ამ მძლავრ ფესვებზე აღმოცენდა ქართული საბჭოთა რომანი. ავტორმა მიზნად დაისახა ეჩვენებინა ძველი, ჩაგვრასა და უსამართლობაზე დამყარებული მემამულურ-კაპიტალისტური სამყაროს ნგრევისა და ახლის დაბადება-დამკვიდრების ისტორიული პროცესი.

„სანავარდოს“ ფართო მასშტაბები და დიდი განზოგადებანი ახასიათებს. ამბავი იწყება ერთ ძველ ქართულ სოფელში, რომელიც დაჭაობებულ კოლხიდაში მდებარეობს — ეს არის სოფელი სანავარდო. შემდეგ რომანის ფურცლებზე ჩნდება ძველი პეტერბურგი, მთელი ძველი სამყარო თავისი წარმავლობის სევდითა და სასოწარკვეთილებით. მწერალმა შესანიშნავად გადმოსცა განწირულება ძველისა და წინათგრძნობა ახალი ეპოქის დამკვიდრებისა. ოციანი წლების ლიტერატურისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სიახლის შეგრძნებით შთაგონებული და ძალღონემოცემული დგამდა თავის პირველ ნაბიჯებს ახალი ქართული პროზაცა და პოეზიაც.

ცხადია, „სანავარდო“ არ იყო მწერლის პირველი ნაწარმოები. ჯერ ისევ 1914 წელს, როცა დემნა შენგელაია თვრამეტი წლის ჭაბუკი იყო, გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „ნირვანა“, რომელმაც იმთავითვე ლიტერატურული კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა. მას მოჰყვა მთელი ციკლი პატარა მოთხრობებისა; ეს იყო ახალგაზრდა მწერლის ლიტერატურული დაოსტატების, წვრთნისა და შემოქმედებითი ფორმირების, საკუთარი გზის ძიების წლები. მისი ნამდვილი მაღალი შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომელიც უკვე ვთქვით, იწყება „სანავარდოთი“ და ამ რომანითვე იწყება ახალი ქართული საბჭოთა პროზა.

ცხადია, დემნა შენგელაია აქ მარტო არ იყო. იმავე ხანებში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე სხვა გამოჩენილი ოსტატები, რომელთაც თავისებურად, ორიგინალური საღებავებით გამოხატეს ჩვენი დრო, დიდი განახლების ეპოქა.

„სანავარდოს“ თან მოჰყვა მთელი ციკლი მოთხრობებისა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის თემაზე. აქ უნდა დავასახელოთ მოთხრობები „პორტი“, „გურამ ბარამანდია“, „პატარა ქალი“, და სხვა. ამ მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ახლებური რეალიზმის განვითარების, ქართულ პროზაში ახალი თემატიკის დამკვიდრებისა და განმტკიცების თვალსაზრისით. საბჭოთა ადამიანების მასობრივი გმირობა, მათი თავდადება სამშობლოსათვის აქ მძაფრი, ცოცხალი და კონკრეტული სახეებით იყო ნაჩვენები.

დემნა შენგელაია უაღრესად ფართო დიაპაზონის მწერალია. თავის ნაწარმოებებში ის ერთნაირი ძალით აცოცხლებს და ხატავს როგორც აწმყოს, ისე ახლო თუ შორეული წარსულის სურათებს. სწორედ იმავე ხანებში ის წერს მოთხრობას „შემოქმედი“, რომელსაც მეთორმეტე საუკუნეში, თამარის ეპოქაში გადავყავართ, მაგრამ მასში მწერალმა თქვა ის, რაც თანაბრად აინტერესებს და აღელვებს ყველა საუკუნეს და ყველა თაობას. მოთხრობაში მწერალმა გამოთქვა ყველა დიდი მხატვრის დაუცხრომელი ნატვრა და ოცნება — გამოხატოს სიცოცხლე, ადამიანი და ბუნება სიტყვაში, სურათში, ქვასა თუ მარმარილოში, გამოხატოს სრულყოფილად, განუმეორებლად. ხელოვნების ნაწარმოების შექმნა აქ სულიერი არსების, სიცოცხლის დაბადების სიმაღლეზეა აყვანილი. ავტორს მარტო თავისი მთავარი გმირი — უბადლო ფერმწერალი ბუშქენ ოპიზარი კი არ აინტერესებს, ის ამავე დროს, გვიხატავს ქალს, დედას, კალთაბარაქიან გლეხის დედაკაცს, რომელიც თავის აკვანში ზრდის ვაჟკაცებს, რომელსაც აბარია მარად ჩაუქრობელი ქართული კერა.

დემნა შენგელაია მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. როცა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო საკოლმეურნეო მოძრაობა, იგი უმალ გამოეხმაურა ამ თემას. დემნა შენგელაიას „შუღლი“ არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იბადებოდა კოლმეურნეობა საქართველოს მთიანეთში.

ომის წინა წლებში გამოაქვეყნა დემნა შენგელაიამ თავისი „ბათა ქექია“. ეს იყო ვრცელი სოციალური და ფსიქოლოგიური რომანი, რომელიც გვიხატავს ქართველი გლეხკაცის ცხოვრების ისტორიას საგლეხო რეფორმის დღეებიდან სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებამდე. ამრიგად, რომანი საკმაოდ ვრცელ დროს მოიცავს, აქ ჩვენ ვხედავთ ქართველ გლეხკაცს შრომაში, ვხედავთ საბრძოლველად გამოსულს, როცა ის, პირველი რევოლუციის წლებში, იარაღს იღებს ხელში და პროტესტის ნიშნად ტყეში მიდის; მწერალმა მთელი ხალხის ბედი გვიჩვენა, დაგვიხატა რა გზა გაიარა მან, რა ტანჯვა ხვდა წილად, ვიდრე თავისუფლებას დაიმკვიდრებდა.

ამ რომანში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა დემნა შენგელაია, როგორც მოაზროვნე-მხატვარი, ღრმად გამოხატავს ცხოვრების შინაგან აზრსა და დუღილს; რომანი თვალწინ წარმოგვიდგენს იდეას ხალხის უკვდავებაზე. უკვე მოხუცი ბათა ამბობს: „მერე რა, რომ დავბერებულვარ, ტანზე კორძები რომ დამსხდომია! მაინც გამტანი ვარ, მაინც უკვდავი ვარ. შევხედავ ცას — მიხარია, გავხედავ მიწას — ისევ ვხარობ, გავცქერი მინდორ-ველებს, მუდმივი თოვლით ჩამოფენილ კავკასიონს, ხოდაბუნებს, რიონს, ტბას ნარიონალს, შვილებს, შვილიშვილებს — ვინ მოთვლის მათ, და მიხარია, შევხარი ახალგაზრდობის უდარდელ სიცილს, სოფლის ხალისიან ყიჟინას, და რა ვქნა, შვილებო, ძიძებო, რომ მიხარია? მიხარია, რომ ამ დღეს შევესწარ, რომ ცოცხალი ვარ, რომ ყოველივე ეს ჩემთვის არის გაჩენილი, რომ ყოველივე ეს მე მიკეთებია და მას მე ვუკეთებივარ“.

დემნა შენგელაიას ამ რომანმა მძაფრი და კოლორიტული სახეებით დაგვიხატა ქართველი გლეხკაცის სულიერი მხნეობა, მისი ომახიანობა, გაუტეხელობა, მისი კეთილშობილება და ლაღი, მომხიბვლელი იუმორი, ანკარა წყაროსავით რომ ჩქეფს.

1940 წელს დემნა შენგელაიამ გამოაქვეყნა რომანი „შთაგონება“. მთელ ამ წიგნში ისმის რიტმი და მძლავრი მაჯისცემა ახალი თბილისისა, ისმის სუნთქვა სოციალისტური ქალაქისა, სადაც ყველაფერს, ყველა უბანსა და კუთხეს თავისუფალი შრომის მადლი და სილამაზე ატყვია.

მარტო ახალი პეიზაჟის ჩვენების გზით როდი დახატა მწერალმა ჩვენი დედაქალაქი; მან ახალი ადამიანის სულიც გვიჩვენა — დაგვიხატა ის საქმიანი და ხალისიანი ხალხი, ის მხნე და შეუდრეკელი თაობა, რომლისთვისაც შრომა და შემოქმედება, შრომა და სიხარული განუყოფელი ცნებებია. ეს არის შთამომავლობა იმ მებრძოლებისა, რომლებმაც ამ საუკუნის პირველ წლებში დაიწყეს გმირული ბრძოლა თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური წყობილების დასამხობად; რომანში რეტროსპექტულად ამ დაუვიწყარი წარსულის სურათებიც არის მოცემული, აღწერილია ცხრაას ხუთი წლის თვრამეტი დეკემბრის ღამე, როცა თბილისელი მშრომელები იარაღით ხელში აღდგნენ და გმირულად შეებრძოლნენ მეფის რეჟიმს. წარსულის რომანტიკა ნათელ შუქსა ჰფენს რომანში ასახულ დღევანდელობას, ნაჩვენებია, ერთი მხრივ, თაობათა ოცნება და, მეორე მხრივ, — ამ ოცნების განხორციელება.

ამ რომანში ნათელი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა ინტელიგენციის დაუცხრომელმა და შთაგონებულმა შრომამ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნაყოფიერად მუშაობდა მწერალი დიდი სამამულო ომის წლებში. მისი ამ დროის მოთხრობები გვიხატავენ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტთა სახეებს, გვიჩვენებენ იმ სულიერი სიდიადის, სიმამაცისა და თავგანწირულობის მკაფიო მაგალითებს, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა გამოიჩინეს სამშობლოს დასაცავად წარმოებულ ბრძოლაში. იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც ქართულმა საბჭოთა მწერლობამ საბჭოთა ხალხის გმირულ შემართებას მიუძღვნა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დემნა შენგელაიას რომანს „წითელი ყაყაჩო“. რომანის გმირი — ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი ბეჟან დავლაძე, რომელმაც კარგად იცის, რომ როცა სამშობლო განსაცდელშია, მისი ადგილი ბრძოლის ველზეა.

დემნა შენგელაიას ბოლოდროინდელი მოთხრობა „განძი“ მიძღვნილია საკითხისადმი, თუ როგორ სძლევს ახალი შეგნება, ახალი მორალი ძველს, დრომოჭმულს. ავტორმა გვიჩვენა ამ ძველისა და ახლის, ბოროტისა და კეთილის მძაფრი და ტრაგიკული შებრძოლება ერთი ადამიანის სულში და ამასთან დაგვიხატა, როგორ იმარჯვებს კეთილი საწყისი.

დემნა შენგელაიას თემატიკა უაღრესად ფართოა და ის ყველგან რჩება ჭკვიან, დაკვირვებულ შემოქმედად, რომელსაც უხვად აქვს მიმადლებული უნარი ჩასწვდეს ხალხის სულს, გამოძერწოს ეპოქალური ხასიათები. დემნა შენველაიას შემოქმედება გამოირჩევა იმ ხალხურობით, სიბრძნითა და სისადავით, რომელიც მუდამ რეალიზმის მთავარ თვისებად იყო მიჩნეული.

მწერალ-აკადემიკოს დემნა შენგელაიას დაბადების ოთხმოცი წლისთავს ჩვენი ხალხი ზეიმით აღნიშნავს და ქართული სიტყვის ამ დიდოსტატს, ახალი ეპოქის შთაგონებულ მესიტყვესა და მხატვარს უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და დღეგრძელობას ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი.

# რამაზ ჩხიკვაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

 რ. ჩხიკვაძე, რ. ჩხეიძე და ს. ჟღენტი.

რ. ჩხიკვაძე მუზეუმში.

მსახიობი სტუმრად ქართველ მევენახეებთან.

ყველას სურს საყვარელი მსახიობის ავტოგრაფი.

სცენა სპექტაკლიდან „ხანუმა“. ს. ყანჩელი და რ. ჩხიკვაძე.

რ. სტურუა და რ. ჩხიკვაძე რეპეტიციაზე.

ალ. სააკოვის ფოტო.













პატარა ელენე და ეკა აბულაძე.

ეკა აბულაძე (12 წ.)





რუსუდან ფეტვიაშვილი (7 წ.)

ნატო მირზაშვილი (10 წ.)





ეკა ამაშუკელი (7 წ.)



ნინო ჯაფარიძე (13 წ.)

# ბავშვთა ხელოვნების მუზეუმი



ანა მგალობლიშვილი (6 წ.)

ბავშვთა ხელოვნების მუზეუმი თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს შენობაში — სახელმწიფო ფილარმონიის ზედა სართულზე მდებარეობს. არსებობის ოთხი წელი არც ისე დიდი დროა. მიუხედავად ამისა, მუზეუმში ბევრი რამ საინტერესო გაკეთდა და უკვე ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრს წარმოადგენს.

მუზეუმში ძირითად ექსპოზიციებთან ერთად პერიოდულად ეწყობა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები და გამოფენა-კონკურსები, მოძრავი გამოფენები ქალაქისა და რესპუბლიკის რაიონებში. აღსანიშნავია თემატური გამოფენა-კონკურსები ქალთა საერთაშორისო დღის — რვა მარტისა და საბჭოთა ხალხის გამარჯვების ოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

მუზეუმს მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ორგანიზაციებთან, ეწყობა გაცვლითი გამოფენები. მუზეუმის ფონდში მრავლად არის უცხოეთის ქვეყნების ბავშვთა ნამუშევრები; მუზეუმის დარბაზსა და ქალაქის სხვადასხვა სკოლაში პერიოდულად ეწყობა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა.

აქ არის საფრანგეთის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების ბავშვთა ნამუშევრები, რომელთაც დიდი ინტერესით ეცნობიან თბილისელი ბავშვები.

ჩვენი ბავშვებიც მონაწილეობენ უცხოეთში გამართულ ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენებში. 1975 წელს ავსტრალიაში გაიგზავნა 100 ნახატი. მრავალი ნახატი გაიგზავნა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებში, სადაც მათ დიდი მოწონება დაიმსახურეს.

მუზეუმი ეწევა ბავშვთა შორის მეცნიერულ-აღმზრდელობით მუშაობას. აქ მოღვაწეობენ ხელოვნებათმცოდნეები, მხატვრები, მეთოდისტები, რომლებიც აცნობენ ბავშვებს მსოფლიო ხელოვნების ისტორიას, გამოჩენილი მხატვრების შემოქმედებას, აწყობენ საინტერესო საუბრებსა და კონკურსებს.

ირინე მამაცაშვილი.



სახელმწიფო ბანკის შენობის პროექტი.



არქიტექტორი რამაზ კიკნაძე.



რესტორანი „მარაბდა".

რამაზ კიკნაძის ნამუშევრები



თბილისის ავტოვაგზლის ფრაგმენტები.



სერიიდან „მესტიის პერსპექტივები"

# იყო ერთი ხელოვანი

გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში დიდი დღესასწაული იყო... ახალგაზრდა არქიტექტორის ნამუშევართა გამოფენის გახსნას „მთელი თბილისი“ ესწრებოდა. მაგრამ ასეთი ფორუმისთვის დამახასიათებელ საზეიმო ატმოსფეროში მწუხარებაც იგრძნობოდა; გამოფენას არ ესწრებოდა აქ ექსპონირებული პროექტებისა და ნახატების ავტორი, არქიტექტორი რამაზ კიკნაძე — იგი ვერ მოესწრო თავისი ნიჭის საყოველთაო აღიარებას — 37 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

ქართველი საზოგადოება არ არის განებივრებული არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენით. მახსოვს, სულ რამდენიმე გამოფენა ჩვენი, უკვე ხანშიშესული, ღვაწლმოსილი ხუროთმოძღვრებისა, ხოლო ახალგაზრდა არქიტექტორთა ნამუშევრები, თანაც ასეთი მასშტაბით, ვგონებ, პირველად იყო საჯაროდ გამოფენილი.

უნებლიეთ გებადება კითხვა: იქნებ მხოლოდ მოულოდნელმა სიკვდილმა გამოიწვია ამ ნამუშევართა შეკრება? მაგრამ როგორც კი გამოფენას გაეცნობი, ამ კითხვას უკუაგდებ, იმდენად ბრწყინვალე და ხალასია ყოველი ნახაზი, ნახატი, ფოტო თუ მაკეტი. გებადება მეორე კითხვა: როგორ მოასწრო ამდენის გაკეთება ცხოვრების ასე მოკლე დროში?

რამაზ კიკნაძე, გარდა იმისა, რომ უნიჭიერესი და დახვეწილი გემოვნების ადამიანი იყო, იგი დაუშრეტელი ენერგიით, საოცარი შრომისმოყვარეობით, მაღალი პროფესიონალიზმით, ფართო ერუდიციით, პირდაპირობითა და პრინციპულობით ხასიათდებოდა; ამავე დროს, ფაქიზი და კეთილშობილური გრძნობების ადამიანი იყო. ყოველივე ამან განაპირობა მის ნამუშევართა ერთსულოვანი და აღტაცებული აღიარება. ამ აღიარების დაგვირგვინება იყო საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის მაღალი წოდების მინიჭება.

**1961** წელს წარმატებით დაამთავრა რა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი, რამაზ კიკნაძემ პირადად ან თავის კოლეგებთან ერთად დააპროექტა, ააშენა, დახატა, გააფორმა:

ქორწინების სახლის ინტერიერი, რომელიც საქართველოს არქიტექტურაში გახდა ერთ-ერთი ეტაპური ნაგებობა და საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც მიიღო აღიარება. ლაკონური და სადა მოცულობითი გადაწყვეტა, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ოსტატური სინთეზი, სადღესასწაულო, დასამახსოვრებელი გარემო ამ ნაგებობის დამახასიათებელი ნიშნებია;

კონკურსში გაიმარჯვა და ააშენა არქიტექტურულად საინტერესო მეტროპოლიტენის სადგური „ოქტომბერი“ (ზედა და ქვედა პავილიონები);

საცურაო აუზთა კომპლექსი რიყეში. სამწუხაროდ, ეს პროექტი არ განხორციელებულა. ავტორებმა გონებამახვილურად გამოიყენეს ბუნებრივი რელიეფი და სპორტული კომპლექსის დამაჯერებელი, მეტად ორიგინალური გადაწყვეტა მოგვცეს;

ასევე დამაჯერებელი სპორტული ნაგებობის სახე მიიღო საცურაო აუზმა სანაპიროზე (ამჟამად მშენებლობის პროცესშია).

თბილისის ავტოვაგზლის შენობა მიუხედავად რთული ტექნოლოგიისა, უბრალო და სადა ფორმითაა გადაწყვეტილი. იგი რელიეფური და ქალაქმშენებლური სიტუაციის პირობებში შესანიშნავადაა შერწყმული გარემოსთან. პროფესიონალური კულტურითაა დამუშავებული ყველა დეტალი: ღია და დახურული სივრცეების რითმიკა, კონტრასტული შეფარდება ბეტონის გლუვი კედლისა — მინის სიბრტყესთან ან კაშკაშა, ფერად მოზაიკასთან;

მუსიკალური სკოლა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე;

ორთაჭალის ექსპერიმენტული საცხოვრებელი რაიონი მოცულობათა საინტერესო პლასტიკური გადაწყვეტით გამოირჩევა; ამავე დროს, ზუსტადაა დამუშავებული როგორც ფუნქციური ზონირება, ასევე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის გრაფიკები;

საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის პროსპექტის პირველ შესახვევში; მასშტაბური და სოლიდური შენობა, რომლის ბოლო სართულზე უბრალოდ და გემოვნებით მოწყობილ სახელოსნოში სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა რამაზ კიკნაძე.

არაორდინალურადაა გადაწყვეტილი ავტოსტრადა მეტეხის ხიდთან; საავტომობილო გვირაბი, სანაპირო-ესტაკადა მტკვართან და მეტეხის კლდესთან ორგანულადაა შერწყმული.

ძველი თბილისის ბალნეოლოგიური უბნის დეტალური დაგეგმარების პროექტში ფაქიზადაა შერწყმული ძველი და ახალი ნაგებობები. დიდი ტაქტისა და ღრმა ცოდნის საფუძველზე, მეტად რთულ სიტუაციაში, ნათლად და ზუსტადაა დასახული ძველი რაიონის შემდგომი განვითარება.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის პროექტმა რესპუბლიკურ კონკურსში პირველი პრემია და აშენების უფლება მიიღო. მესტიის მეტად საინტერესო რელიეფზე დიდი ოსტატობითაა მორგებული სვანეთის უნიკალურ ძეგლთა შესაფერისი შენობა.

სპორტული კომპლექსი გაგრაში;

რუსთაველისა და გრიშაშვილის ქუჩებს შორის ტერიტორიის მოშენების ესკიზური პროექტი ქუთაისში;

ახალგაზრდა მეცნიერთა კაფე-კლუბი თბილისში;

კურორტის კომპლექსურ-მხატვრული გაფორმება-კეთილმოწყობა ბიჭვინთაში და ფაცხა-რესტორანი იქვე;

რესტორანი „მარაბდა“, სადეგუსტაციო დარბაზი „საჭაშნიკე“, ლუდის ბარი „შატილი“ თბილისში;

ვაჟა-ფშაველას ძეგლის არქიტექტურული ნაწილი თბილისში;

ცხრა ძმა ხერხეულიძის ხსოვნის მონუმენტი მარაბდაში;

საქართველოს ექსპოზიციები საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე პარიზში, ბაზელში, დასავლეთ ბერლინში, პლოვდივსა და ლიონში.

ათამდე სპექტაკლი თოჯინების სახელმწიფო ქართულ თეატრში; რამდენიმე სპექტაკლის მხატვრული გაფორმება თბილისის მუსიკალური კომედიის, გორისა და ცხინვალის დრამატულ თეატრებში.

კიდევ მრავალი ესკიზი, ეტიუდი, ჩანახატი, პროექტი, მაკეტი წარსდგა ამ შესანიშნავი გამოფენის დამთვალიერებელთა წინაშე.

არქიტექტორ რამაზ კიკნაძის უნიკალურმა ნიჭმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

ნოდარ მგალობლიშვილი.

## ბუნების კარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მზის ყვავილი

ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილიდან მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ესპანეთში შეიტანეს წელში ლაღად გამართული, ოქროსფერი ყვავილით დამშვენებული მცენარე, რომელმაც დიდი გავრცელება ჰპოვა ევროპის ქვეყნებში. ეს მცენარე რუსეთში პეტრე პირველმა შეიტანა და მას მხოლოდ დეკორატიული დანიშნულებისათვის იყენებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა რუსმა გლეხმა ამ მცენარისაგან პირველად მიიღო ზეთი. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ საუბარი მზესუმზირაზე გვაქვს.

მზესუმზირას მართლაც რომ შესაფერისად აქვს შერქმეული სახელი. იგი მზის ყვავილია. ოქროსფრად აყვავებული მზესუმზირა მზის სხივებისაკენ ილტვის, დილიდან საღამომდე სწორედ იქით იხრება და იქითკენ აბრუნებს თავს, საითაც მზე იწვერება.

მზესუმზირა საქართველოში ამ 40-50 წლის წინათ გავრცელდა.

საბჭოთა კავშირს მზესუმზირას თესლის დამზადების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

მზესუმზირას თესლისაგან მზადდება 500-ზე მეტი სხვადასხვა ნივთიერება. მარტო ამით როდი ამოიწურება მზის ყვავილის სიკეთე. მას იყენებენ პურის ცხობაში, საპნის ხარშვაში, ლაქის წარმოებაში, ქაღალდის დამზადებაში. მისგან მზადდება ელასტიკური ნივთიერება, რომელიც საიზოლაციო მასაში კაუჩუკს ცვლის. ეს მცენარე ესაჭიროებათ მანქანათმშენებლებს, ქიმიკოსებს, ფარმაცევტებს. მზესუმზირას ზეთის გამოხდის შემდეგ მიიღება კოპტონი, რომელიც საუკეთესო კონცენტრიული საკვებია პირუტყვისათვის...

კიდევ ბევრი რამ სასარგებლო მზადდება მზესუმზირასაგან. ადამიანები უხვად სარგებლობენ მზის ყვავილის სიკეთით.

### მთვარის ყვავილი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მცენარეთა უმრავლესობა დღის სინათლეზე შლის თავის ყვავილებს. გამონაკლისებიც არსებობს. გვხვდებიან ისეთი მცენარეები, რომლებიც ღამით, მოწმენდილ ამინდში გადაშლიან ხოლმე თავიანთ ლამაზ ყვავილებს. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ერთ-ერთი მხვიარა მცენარე, რომელსაც მთვარის ყვავილს უწოდებენ.

ამ მხვიარა მცენარეს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებლად სჭირდება რაიმე საყრდენი. ბუნებრივ პირობებში, როცა მთვარის ყვავილი ველურად იზრდება, საყრდენად სხვა მცენარეებს იყენებს, საიმედოდ ებჯინება მათ და ისე აგრძელებს ზრდას.

მთვარის ყვავილი ათიოდე წლის წინათ შემოიტანეს საბჭოთა კავშირში; ამ რამდენიმე წლის წინათ კი იგი აშხაბადიდან საქართველოშიც გავრცელდა.

ახლა ყოველ გაზაფხულზე თბილისის ბაღებს, პარკებსა და სკვერებს ამშვენებს ეს ლამაზი მცენარე, რომელიც მოუთმენლად ელის მზის ჩასვლას, რომ ლაღად გაშალოს თავისი დიდრონი, თეთრი და ვარსკვლავისებური ყვავილები. კოკრებად შეკრული ყვავილების გაშლა სწრაფად — 60-80 წამის განმავლობაში ხდება.

ლამაზი და ნაზი ყვავილები მზის ამოსვლისთანავე ასევე სწრაფად იკეცებიან და ისევ კოკრებად იქცევიან.

ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ ქათქათა და ნაზი ყვავილები მზის სხივებს გაურბიან, მძლავრი სიცხისა ეშინიათ. მათ „ნაზ სხივთა მთოველი“ მთვარე და მისი საამო სიგრილე უფრო ურჩევნიათ.

გიორგი დათუაშვილი,

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის

# ახალგაზრდობის დიდი მეგობარი

ჯერ კიდევ მოწაფე ვიყავ, როდესაც ქართულ გიმნაზიაში ხმა დაირხა: ივანე ჯავახიშვილი ჩამოსულა პეტერბურგიდან და ლექცია უნდა წაიკითხოსო. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მისმა ნათელმა სახემ, მაღალმა შუბლმა, ოდნავმა, მაგრამ კეთილმა ღიმილმა. ხმა დადიოდა, ჯავახიშვილი ცდილობს უნივერსიტეტი დააარსოსო; ჩვენთვის, ქართული გიმნაზიის მოწაფეთათვის, ასეთი ხმები უცხო არ იყო. ვიცოდით: „ცხვედაძემ ახეთი დიდი შენობა გიმნაზიისათვის კი არა, უნივერსიტეტისათვის ააგოო". ჩვენ ამ ხმებისა გვჯეროდა და ეს ი. ჯავახიშვილის სახელს მეტს სიმშვენიერეს აძლევდა.

პირველ კურსზე, 1919 წელს, კურსის მამასახლისად ამირჩიეს. ბატონ ივნესთან ხშირად მიხდებოდა შეხვედრა; მართალია, პირველ ხანებში რექტორი პ. მელიქიშვილი იყო, მაგრამ საქმე ი. ჯავახიშვილს ეკითხებოდა.

სტუდენტთა უმრავლესობა ვმუშაობდით და ადმინისტრაციას ვთხოვდით ლექციები საღამოს დაენიშნათ. ყველაფერი მოვაგვარეთ, გარდა ერთისა; „საღამოს სუსტ განათებაზე ცდები არ ჩანსო", — გვითხრა ერთმა ლექტორმა (საქმე იმაში იყო, რომ უნივერსიტეტი ელექტროგანათებას ერთ პატარა ელექტროსადგურიდან იღებდა, რომელიც წილკნის ქუჩაზე იყო, სინათლე ხშირად ქრებოდა ან ბჟუტავდა). პროფესორი მართალი იყო, მაგრამ რა გვექნა. ჩავედით ბატონ ივანესთან, შევჩივლეკოპება შეიყრა, ჩაფიქრდა, ქაღალდზე რაღაც დაწერა და კონვერტით მომაწოდა: „სამხედრო კომენდატთან წადი, იქნებ გვიშველოსო". მართლაც, იმ დალოცვილიშვილმა ოცდახუთი დიდი ლამფა — „მოლნია" მომცა, ნავთიც მოაყოლა და ორთვალათი გამომატანა. დღესასწაულივით შეხვდნენ ამას სტუდენტები. ყოველ ფანჯარაზე სამ-სამი დავდგით, ლექტორის მაგიდაზეც — სამი, აუდიტორია გაჩახჩახდა; ბ-ნ ივანეს უფრო გაეხარდა ეს, ვიდრე იმ პროფესორს, როდესაც ვუთხარი არც ფული გამომართვა და თავისი ორთვალათი გადმომატანინა-მეთქი, თქვა: „პატარა საქმეა, მაგრამ აქაც ჩანს, რომ ჩვენი საქმე ესმისო".

გავიდა ხანი, მესამე კურსელი ვარ. ლექციებს ვისმენ საბუნებისმეტყველოზეც და აგრონომიულ ფაკულტეტზეც. ერთ დღეს დამიბარეს სოფლის მეურნეობის კომისარიატში და სხვა ოციოდე სტუდენტთან ერთად მეც ჩამრიცხეს ერთ-ერთ საკვლევ ინსტიტუტში — ბოტანიკურ ბაღში პროფ. პეტრე ქუკოვსკის განყოფილებაში. დამევალა ქართლის, გორის მაზრის, სარეველ მცენარეთა შესწავლა (მაშინ ამ მაზრაში შედიოდა: კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ზნაურის, ცხინვალის რაიონები და ეხლანდელი მცხეთისა და დუშეთის რაიონების ნაწილი). ავედი გორში, გამოვცხადდი მაზრის რევ. კომისარიატში და ვინმე შოთს (არ ვიცი, რა ეროვნებისა იყო) ჩემი მანდატი ვაჩვენე: „აი, ჩემო ძვირფასო, ამ მანდატით მაზრაში ფეხს არ დაგადგმევინებ. ვინაა ქუკოვსკი? ხელს უნდა აწერდეს კომისარი, გაიგე?"

რაღას ვიზამდი, წამოველ თბილისში. ზურგჩანთა მოკიდებული გამგელებული მივდივარ ვერის დაღმართზე და უცბად დავინახე: ჩემს წინ, ოდნავ მხრებში მოხრილი, თავის დიდი პორტფელით, ბ-ნი ივანე მიდის.

მივესალმე და გავწიე.

— ყმაწვილო!

— სად ყოფილხარ, რა გინახავს? — მომმართა ხალხური ლექსის სიტყვებით — ოდნავ გაღიმებულმა.

მოვახსენე ჩემი ამბავი და როდესაც აღმართი ამოვათავეთ და რუსთაველის პროსპექტისაკენ მინდოდა გახვევა, არ გამიშვა. ჩემს მარჯვენა მკლავს იყო დაყრდნობილი.

— მოითმინე, მეც წამოვალ.

სოფლის მეურნეობის კომისარიატი მოთავსებული იყო იმ შენობაში, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობისა და ოპერის შუა მდებარეობს. ავედით მეორე სართულზე და კომისარმა, ბესარიონ კვირკველიამ, სწრაფად მიიღო. მე მისაღებში ვუცდიდი. გაიღო კარი, გამოვიდა ივანე და გამოჰყვა ამხ. კვირკველია. „ეს არის!" — მიუთითა ჩემზე. ბესო ღიმილით მომესალმა, ბ-ნი ივანე კმაყოფილი წავიდა.

ჩემს სიგრძე მანდატი მომცეს და შოთს არა ეთქმოდა რა. შემოდგომაზე, ნოემბერში თუ დეკემბრის დასაწყისში, სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მოხსენება წავიკითხე — „გორის მაზრის სარეველი მცენარენი". წრის სხდომებს ჩვენი პროფესორები ესწრებოდნენ: ზ. ყანჩაველი, ი. ლომოური, დ. გედევანიშვილი, გ. რცხილაძე, ს. ჩოლოყაშვილი და სხვანი. როდესაც კათედრისკენ წავედი, ბ-ნი ივანეც შემოვიდა. იგი ჩვენი სხდომების ხშირი სტუმარი იყო. ვგრძნობ, მოხსენება ცუდად არ მიდის, მაგრამ მაინც რაღაც არ მოსწონთ.

არ მოეწონათ სიტყვა „სარეველი"; საიდან-სადაო. განსაკუთრებით ის პროფესორი დავობდა, ვინც ქართულთან მწყრალად იყო. გინდა თუ არა „ბალახ-ბულახი" ჯობიაო.

— საიდან აიღეთ, ყმაწვილო, ეგ სიტყვა?, — შემეკითხა ბ-ნი ივანე.

— დიდი ლიახვის ხეობაზე, სოფელ თამარშენსა და აჩაბეთს შუა ყანებში სარეველებს ვაგროვებდი, მოვიდა ჯერ მეველე — მიცქირა, მიცქირა და გაკვირვებული მეკითხება: ე, სარეველები რაღა ჰირად გინდაო. რასაკვირველია ჩავიწერე. აჩაბეთში შევამოწმე, დამიმოწმეს.

— რაკი ხალხშია დამოწმებული, უნდა მივიღოთ, თუნდაც უხერხულად გვეჩვენოს, — ბრძანა ივანემ და მეორე დღესვე პროფესორთა ლექციებში უკვე გაჩნდა სიტყვა სარეველი.

გავიდა ექვსიოდე წელი და გადმომცეს, ბ-ნი ივანე გიბარებსო, მივედი ... მაგიდაზე იმ ... წელს (1927 წ.) გამოსული ჩემი წიგნი ედო. გულმა ბაგი-ბუგი დამიწყო. „ეს კარგი წიგნი დაგიწერია!" — მომმართა და დაიწყო საუბარი ხორბალზე, მის სახელწოდებებზე, მეკითხებოდა, ვპასუხობდი, ისე მიგდებდა ყურს. გეგონებოდათ გულისყურიანი მოწაფეაო. განსაკუთრებით გაგვიგრძელდა საუბარი გუთანზე. მთხოვა წავსულიყავ სოფელში და ხელახლად ჩამეწერა გუთნის ნაწილთა სახელები. რაც მე დაუყოვნებლივ შევასრულე. სამი წლის შემდეგ გადმომცა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" პირველი წიგნი წარწერით: „დიდ პატივცემულ ასისტ. ნ. კეცხოველს მადლობით ავტორისაგან". ეს არის ერთ-ერთი ძვირფასი ჯილდო, რომელიც როდესმე მიმღია და რომელსაც დიდი სიყვარულით ვინახავ.

გავიდა კიდევ ერთი ორი წელი და გადმომცეს, რომ ბ-ნი ივანე გთხოვთ დღეს სახლში მიბრძანდეთ მასთან საქმიან სხდომაზეო.

ბ-ნ ივანეს კაბინეტში უკვე იყვნენ: პროფ. ი. ლომოური, პროფ. ჩოლოყაშვილი, გ. რცხილაძე, ლ. დეკაპრელევიჩი; სხვანი არ მახსოვს.

ივანე კითხულობდა ეკონომიური ისტორიის მეორე ტომს — მებოსტნეობის ნაწილს, ყველას საფუძვლიანად ეკითხებოდა, გულისყურით უსმენდა. მე უკან დავჯექი და სანამ თითონ არ მომმართავდა: „აბა, ჩვენი მთის კაცი რას იტყვისო", ხმას არ ვიღებდი.

ამ წიგნის განხილვას თითქმის ათი საღამო მოანდომა. შეიძლება მეტიც.

...მახსოვს ივანე გულისყურიანი, ყოველივე ახლის დიდი ყურადღებით მომხმენი.

ბევრის, ძალიან ბევრის თქმა შეიძლება ამ ნათელ ადამიანზე, რომელიც ჩირაღდანივით ენთო და საქართველოს სიყვარულით დაიწვა.

ნიკო კეცხოველი

## ლექსები

## ლექსები

### მედეა კახიძე

#### დღეს მინდა მიყვარდეს ყველა

დღეს მინდა მიყვარდეს ყველა
თავი ბედნიერად ვიგრძნო,
ძველი გავაზიდან თელავს
ფეხით ჩავიდე ვინძლო.
სერ-სერ დავხელთო ია,
შემოეხვდე
უცნობს თუ ნაცნობს,
ჭიმკარი დამიტოვონ ღია
ვინმე თუ
შოთ პურებს აცხობს.
იქ სადაც მუხები
დგანან.
ალაზანს გავუყვეთ
წყალწყალ,
მომეცეს იმდენი ძალა,
ქომაგად დავუდგე
საწყალს.
ფეხით გადავზომო ჭალა
შორიდან ვჭვრეტო ჭანარს.
სასთუმლად დავიგო ჩალა
დავიფთხო ძილიც და
ჭამაც.
ვდიო, ამოქოლგილ
ნიყვებს,
პინდვრის გულისცემას
მივყვე.
გზადაგზა
დავწიხლო ღვარძლი,
სიცოცხლეს ჩავუდგა აზრი
თავი ბედნიერად ვიგრძნო,
ჩვენი მარჩენალი ვაზი,
გულში ჩავიხუტო ვინძლო!

• • •

ისევ ატყდება ბაღჩაში,
შავი შაშვების ჭახჭახი
და გულკვითელა გვირილა,
ველს მოედება ყვირილად.
ვენახში კოჭლამაზები
ატირდებიან ვაზები,
ჭინჭარზე წავლენ ქალები
ძველმანი ხელთათმანებით.
მზე ისევ კართან მოდგება,
ხის ჩრდილებს გაშლის
ქოლგებად,
პირს აიქაფებს ულაყი
ხახხასა ბალახ-ბულახით.
კვირტში გახმება ნამყენი
შეგვხვდება ბევრი საწყენიც
და მკვდრის დღეს ჭირისუფლები
საფლავზე გავლენ ულებლივ
და კვლავ მერცხლები
მიჯრილად
ცაში იფრენენ წყვილწყვილად!

#### სიკვდილამდე

ნისლი ხევს
აცილდება,
ნატრობს
წვიმად გაცოცხლებას.
ფეხით ჩავლენ
ამალამვე
წყლის სახმელად
ალაზანზე.
ხვე-ხვე ხევი
მიღრიალებს
რწყავს წიფლებს
იღბლიანებს.
ეხეც შენი გურჯაანი
სერებს იქით ბურჯადმდგარი.
ეხეც შენი
ბარჯისხევი,
ხევებს იქით საჯიხვენი.
და რაც უფრო
ვახლოვდები
ხდებით უფრო
მახლობლები.
შემაგებეთ ალვისხენი
და სიმღერით დამიხსენით!
რად მკლავს,
ან რას მემართლება
შენი მწვანე
მოლიანი,
სიკვდილამდე მემართება
ე მაგ მიწის
ლოლიავი!

#### ფიტული

მარტი ალვიჟებს
მტირალა კვირტებს,
ტყე ექოს აძლევს
ტიტინა გვრიტებს,
ყვავილობის დრო
მოდის.
გუშინწინ ამაყს,
ლამაზს და დიდგულს,
დღეს უსიცოცხლოს,
გამოშშრალ ფიტულს
ველარ [illegible]ურებ
ცოდვით.
თავს შენს წინაშე
როგორ ვიმართლებთ
ვინ ჩაგიქოლა
თვალში სინათლე
შაშვო!
სხივივით მარდო,
მომჩერებიხარ
ცივი და მკაცრი,
რადგან ჩვენს შორის
არცერთი კაცი,
არ მიგაჩნია სანდოდ.
სამარადისოდ
კედელს მიკრული
აწ და მარადის
შენ ხარ ფიტული,
დამუნჯებული ყელით.
ხმას ეკიდება
დუმილი ტანგად
აღარ მიელტვი
ლაჟვარდებს ხარბად
აღარც გაზაფხულს ელი.
ე მაგ თვალების
უტყვი მუდარა,
ვინ გაიმეტა
დასაღუპავად,
რომ ვერ დაგიძრავს
სიტყვა.
გარედ ციაგობს
ცარგვალი ვრცელი,
დილას უხმობენ
შაშვები სტვენით
შენ კი არავინ
გიყვარს!

### ამირან ახობაძე

•

მზე ფეხს იკიდებს
და შიშინით
მიიწევს მაღლა,
მთებზე ზარს რეკავს
გაზაფხულის
მწვანე ციხკარი..
იხე აფეთქდნენ.
მგლოვიარე ხევები ახლა,
თითქოს ერთბაშად
აუსრულდათ ყველა სიზმარი.

•

ვიცი,
მოგწყურდა
სხვაგვარი დაღლა,
და გული ისევ
სოფლისკენ გიწევს...
არაფერია,
თუ ხედავ ახლა
ლევა ღრუბლებით
ამღვრეულ სივრცეს.
ზამთრის კვალს
უკვე ჯიუტად მისდევს,
ცერზე შემდგარი
სიცოცხლე ფერთა
და ყინვისაგან
დაჭირხლულ მინდვრებს
მთის ბურუსივით
ეძლევა სვედა.

•

წლებო
ნუ ღელავთ,
წლებო მაცალეთ,
არ შემიფიცქოთ
ადრე კარავი
და იმ ჩემს სათქმელს
რაც დღეს მაწვალებს
მე მოგახსენებთ,
ანდა არავინ.

#### ფრთებად ჭირდები

მხრებზე დაგაწვა
ეს ერთი წელიც
და მეტი სიბრძნე
გარია ხმაში...
ჭაღარა, დროთა
შემპარავ ხელით
განთიადივით
იჭრება თმაში.
შენ ამ ცხოვრებას
ფრთებად ჭირდები
და დიდ მომავალს
უგზავნი ამბორს...
ახლა წარბშეკრულ
მთებს ეჭიდები
და სახვალიო
სამღერას ამბობ.

#### გასაუბრება ნინამორბედთან

მე ვიცი ზოგჯერ წუთები
მოჰგავს ცეცხლსა და ჯვარცმას,
ფიქრებში ჩავიკარგები
და სულს ულმერთოდ ვძარცავ.
რა ძნელად მოდის, რა ძნელად
სიტყვა გამძლე და ურჩი,
ამ წლების შეხლა-შემოხლას
მაინც თუ გადავურჩი...
ჩემში ვგრძნობ შენი სისხლის ხმას —
დაუოკებელ კივილს.
თუ უპატრონე ბოლომდე
ღელვას, განცდას და ტკივილს, —
მაგრამ ვაი, რომ წუთები
მოჰგავს ელვას და ჯვარცმას,
ფიქრებში ჩავიკარგები
და სულს ულმერთოდ ვძარცავ.

#### ფიროსმანი

ჩემი წარსულით
მერამდენედ უნდა აგანთოთ
და მერამდენედ
უნდა მითხრათ სიტყვა ქებული...
ბევრჯერ მივლია
ღრუბლივით უმისამართოდ,
ბევრჯერ ვყოფილვარ
ღრუბლივით გაოცებული.
წუთისოფელი
თურმე სიკვდილს ისე არიგებს —
წუთისოფლისგან
რა ცოტაა დასადაფნავი...
მადლობელი ვარ
უკვდავებას რომ შემარიგეთ.
მადლობელი ვარ
რომ მომეცით გულში საფლავი.

#### ბალადა საათზე

ბოლო მანქანა სადღაც გაიხმაურებს გვიან,
ახლა ყველაფერს ირგვლივ დიდი სიჩუმე ქქვია.

სახლში საათის ფეთქვა გამოიკვეთა მეტად,
რას ეურჩება ასე, ვის ედავება ნეტავ?!

მოსვენება და ძილი გადამავიწყოს ღამის,
მეტად რომ ვიგრძნო, ალბათ, ფასი წუთის და წამის.

ეკამათება დროს თუ თავისებურად ათრობს,
ვისთვის — სიცოცხლის ხსნაა, ვისთვის — ტკივილი მარტო.

დარდი მიჩნდება უფრო მას რომ ვუსმენ და ვხედავ,
ნეტა რას ჩქარობს ასე, ასე რას ითვლის ნეტავ?!...

# სიცოცხლის გზა



## დოკუმენტური მოთხრობა

ჰიტლერელ ფაშიზმზე გამარჯვების ოცდაათი წლის იუბილეზე ლენინგრადში ვიყავი მიპატიჟებული. ერთ საღამოს პეტროგრადის მხარის დიდ პროსპექტზე ამხანაგთან ერთად ვსეირნობდი. მოულოდნელად წინ გადაგვიდგა ჭაღარაშერეული, ტანმაღალი, ასე ორმოცდაათი წლის ბრგე ვაჟკაცი.

— გამარჯობა, ამხანაგო გენერალო! — მომმართა ღიმილით.

დაკვირვებით დავაცქერდი. ძალზე ნაცნობი სახე ჰქონდა, თანაც ქართველს ჰგავდა.

— ვერ მიცანით?

— გიცანი, ბეჟან, გიცანი ძვირფასო! — წამოვიძახე და გადავეხვიე ჩემს ყოფილ მძღოლს.

* * *

...ცეცხლის რკალში მოექცა მრავალმილიონიანი ლენინგრადი.

სექტემბრის დამდეგს ცეცხლგამჩენი ბომბებით დაიწვა ქალაქის მთავარი სურსათ-სანოვაგის საწყობი. სარაიონო საწყობებში კი სულ ოციოდე დღის მარაგიღა ინახებოდა.

ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი ნანგრევებად ექციათ. მოსახლეობა ტყვიით, შიმშილითა და სიცივით ამოეჟლიტათ.

სექტემბერ-ნოემბერში ხუთჯერ შემცირდა ლენინგრადელთა ულუფა. 22 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე კი მუშები იღებდნენ 250-250 გრამ პურს, მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები კი თითოეული — 125 გრამს. 25 დეკემბერს ულუფა პირველად მოემატა ხალხს, მოემატა ძალიან ცოტა, მაგრამ ამან ადამიანებს დიდი ძალა შემატა — ფიზიკური და მორალური ძალა.

ერთი თვის შემდეგ, 1942 წლის 24 იანვარს, მეორედ გადიდდა ულუფა, მუშები ახლა 400 გრამს, მოსამსახურეები 300 გრამამდე პურს იღებდნენ. თერთმეტ თებერვალს კი მესამედ გაიზარდა ულუფა და უფრო საგრძნობლად.

მარაგის შემოტანა და დაგროვება ხდებოდა ყინულოვანი გზით ლადოგის ტბაზე. ამ გზას ხალხმა „სიცოცხლის გზა“ უწოდა. იმ წელს ბედზე ადრე გაიყინა ლადოგა. უკვე 22 ნოემბერს პირველი ავტოკოლონა გაემგზავრა აღმოსავლეთ ნაპირზე. 23 ნოემბერს უკან დაბრუნდა და თან 33 ტონა ფქვილი მოიტანა; 33 ტონა ფქვილი ამხელა ქალაქისა და ფრონტისათვის იყო ერთი ნამცეცი, მაგრამ როცა ეს ამბავი გავიგეთ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ფაშისტებმა მალე აღმოაჩინეს ყინულოვანი გზა. მათ განიზრახეს მისი მოსპობა, გააჩაღეს საჰაერო იერიშები და საარტილერიო ცეცხლი.

ტრასას ჩაშლის საფრთხე ემუქრებოდა. საჭირო იყო მისი საიმედო დაცვა. ეს საქმე დაევალა ლენინგრადის ფრონტის გამანადგურებელ ავიაციას. ამ დროს მე ავიაციის შენაერთის კომისარი ვიყავი.

ფრონტის სამხედრო საბჭომ გვიბრძანა შენაერთის ერთი ნაწილი ლადოგის აღმოსავლეთით გადაგვეყვანა და ოპერატიული ჯგუფი შეგვექმნა, რათა ტრასის დაცვა უფრო საიმედო ყოფილიყო.

* * *

დეკემბრის ერთ სუსხიან დილას ლადოგის აღმოსავლეთით შენაერთის შტაბის ოპერატიულ ჯგუფში გავემგზავრე. მანქანის საჭეს ახალგაზრდა ეფრეიტორი ბეჟან ბერიძე უჯდა. მეთევზეთა დაბა ოსინავეცი ნისლში იყო გახვეული. აქედან იწყებოდა ლეგენდარული „სიცოცხლის გზა“.

ოსინავეცის გადმოსატვირთი ბაზა ჭიანჭველის ბუდეს ჰგავდა. უცხო თვალისთვის შეუცნობელი იყო რა კეთდებოდა აქ; ფქვილით სავსე ტომრების შტაბელებთან უამრავი მანქანა და ხალხი ირეოდა. უფრო გამოცდილ მძღოლებს მანქანებზე მარხილები ჰქონდათ მიბმული, რათა მეტი ტვირთი გადმოეზიდათ; თეთრხალათიანი წითელარმიელები ერთ ადგილას ცლიან „დიდი მიწიდან“ მოსულ მანქანებს, მეორე ადგილას ტვირთავენ ლენინგრადში გასაგზავნ საბარგულებს. მუხლუხიანი ტრაქტორები შტაბელებისთვის ახალ ადგილს ამზადებენ.

საწყობის მოშორებით, თბილ კარვებში, თავის რიგს ელოდებიან დიდ მიწაზე გადასაყვანი ლენინგრადელი ბავშვები, ქალები და მოხუცები.

საცოდავი სანახავია შიმშილითა და სიცივით შეწუხებულ ადამიანთა გამხდარი, გაყვითლებული სახეები. მაგრამ სულ სხვაა მათი იმედით სავსე თვალები. ამ ადამიანებმა არ იციან სად მიდიან, სად გააჩერებენ, ვინ შეეხიზნებიან, მაგრამ იციან. პარტია, მთავრობა, სამშობლო არ დატოვებს ბედის ანაბრად.

საკონტროლო პუნქტზე დოკუმენტები გაგვისინჯეს და ჩვენმა მანქანამ გეზი აღმოსავლეთის ნაპირისაკენ — სადგურ ვოინბაკალისაკენ აიღო.

თუ გსურს მთელი მნიშვნელობით გაიგო ამ ზღაპრული „სიცოცხლის გზის“ სიდიადე, სირთულე, სიძნელეები და კეთილშობილური მისია, თვითონ უნდა გაიარო მანქანით მისი ოცდაათკილომეტრიანი ყინულოვანი ტრასა.

მანქანა მძიმედ მიიწევს, თუმცა თვლებზე ჯაჭვები აქვს. გამოუცდელი მძღოლისთვის ძნელია მართვა. დიდი სიფრთხილეა საჭირო. ხშირად გვხვდება პირშეუკრავი ან შავი ხახაგაღებული ორმოები. ღამე ისინი წითელი ფარნებით არის აღნიშნული, დღისით — პატარა წითელი ალმებით. გაუფრთხილებელი ან საჭეზე ჩაძინებული მძღოლისთვის ბევრჯერ გამხდარა შავი ორმო საბედისწერო. სანამ ყინვა ორმოს თვითონ არ შეუკრავს პირს, ის საშიშია.

ჭირვეულია ლადოგა — დღეში ათჯერ შეიძლება შეიცვალოს ამინდი, განსაკუთრებით ზამთარში. ნისლი, თოვლი და ხშირად ქარბუქი იცის. თითქოს განზრახ, მთელ თოვლს ტრასაზე ხვეტავს, მოძრაობას აფერხებს.

ტრასა დაყოფილი იყო უბნებად. თითოეულ უბანს საგზაო ტექნიკოსები, მეკავშირეები და გზის გამნათებლები ემსახურებოდნენ.

ტრასას ჰყავდა საკმაოდ ძლიერი საზენიტო არტილერია.

დასავლეთის ნაპირიდან აღმოსავლეთის ნაპირამდე გაჭიმული იყო ტელეფონ-ტელეგრაფის ხაზი. მავთული ხშირად ზიანდებოდა დაბომბვისაგან. 150 მეტრზე იდგნენ ნილაბხალათიანი ლენინგრადელი ქალიშვილები. მათ ღამით ქარბუქში ხელის ფარნები ეკავათ, დღისით კი — წითელი და მწვანე ალმები. ეს ცოცხალი, მოძრავი მწკრივი მძღოლთა უვნებელი მოძრაობის მაჩვენებელი შუქურა იყო. ოდნავ მოშორებით იდგა თითოეული მათგანის პაწია თეთრი კარავი, რომელშიც „შუქურას“ შემცვლელი გოგონა ისვენებდა. უყურებ ამ ქალიშვილებს და გაოცებს მათი სიმამაცე, ისინი ხომ ჯერ ოცი წლისანიც არ არიან, ვაჟკაცურად დგანან ზღვასავით გაშლილ გაყინულ ტბაზე, ოცდაათგრადუსიან ყინვაში, ქარბუქში.

მანქანა მიღოღავს. ჩვენს წინაც ასევე ნელა მიდიან მანქანები, უკანაც მოგვდევენ. შორიახლო, მეორე ტრასაზე, აღმოსავლეთიდან ფქვილითა და სხვა პროდუქტებით დატვირთული ქარავანი მოდის. ერთგან ევაკუირებულებით სავსე მანქანა გაჩერებულიყო. მძღოლებს კაპოტი აეხადათ და მოტორს ჩაჰკირკიტებდნენ.

— გადი. ნახე, რამე ხომ არ უჭირთ!

ბეჟანი მანქანიდან გადავიდა, მეც ჩამოვედი.

გაყინული ბავშვები, ქალები, მოხუცები ერთმანეთს ეკვროდნენ, კანკალებდნენ. საცოდავებს მხოლოდ თვალებიღა უჩანდათ. ღელავდნენ რატომ გავჩერდით შუა გზაზეო.

— ამხანაგო მეთაურო, თამბაქო გექნებათ? — მითხრა გამხდარმა ბერიკაცმა.

მე თამბაქოთი სავსე კოლოფი მივაწოდე და ვუთხარი, ნახევარი თავისთვის აეღო. მან თამბაქო პალტოს ჯიბეში ჩაიყარა, გმადლობთო მითხრა და კოლოფი დამიბრუნა.

ამ დროს ქართული ლაპარაკი მომესმა. სატვირთო მანქანის მძღოლი და ბეჟანი საუბრობდნენ, თან მოტორს დასტრიალებდნენ. მე მათ მივუახლოვდი და უცნობ მძღოლს ვკითხე:

— ქართველი ხარ, ბიჭო?

— დიახ, ამხანაგო კომისარო, — გაიჭიმა და დრო რომ არ დაეკარგა, იმ წამსვე მოტორს მიუბრუნდა.

— რა გვარი ხარ?

— რევაზ გველესიანი გახლავართ.

ლაპარაკის დრო არ იყო. რევაზ გველესიანმა უმალ აკრიფა ხელსაწყოები და კაბინაში შეხტა. ისღა ვკითხე, სადაური ხარ-მეთქი.

— ქუთაისელი ვარ! — გამომძახა კაბინიდან და მანქანა ადგილიდან დასძრა.

აღარც ჩვენ დავაყოვნეთ.

ვზივარ მანქანაში გარინდებული და სიამაყით ვფიქრობ ჩემს თანამემამულეებზე, რომელთაც თავისი წვლილი შეჰქონდათ „სიცოცხლის გზის“ დაცვასა და ლენინგრადელებისთვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებაში, ხალხის გადარჩენაში. გზას ფხიზლად და ვაჟკაცურად იცავდნენ: ნოდარ ნამგალაძე და ილია მირიანაშვილი, აგერ, ახლა რევაზ გველესიანსაც შევხვდი. ვინ იცის, იქნებ კიდევ არიან ქართველები?!

ერთ შუქურასთან გაგვაჩერეს. გუშაგმა მკვირცხლად მოირბინა და ქართული აქცენტით მომმართა:

— ამხანაგო ბრიგადის კომისარო, საჰაერო თავდასხმის დროს ამხანაგი დამიჭრეს, გევედრებით, წაიყვანეთ!

ქალიშვილი და ბეჟანი მაშინვე კარავისაკენ გაეშურნენ.

განცვიფრებული გადმოვედი მანქანიდან. ეჭვი არ იყო, რომ ეს ცისფერთვალება ქალიშვილი ქართველი იყო. მაგრამ საიდან გაჩნდა ყინულოვან უდაბნოში?

აგერ, კარავიდან დაჭრილი გამოიყვანეს, ორნი აქე-იქიდან ამოუდგნენ და მანქანისაკენ წამოიყვანეს. დაჭრილი მანქანაში ფრთხილად ჩავსვით, სახეგაფითრებული, თვალებჩამქრალი ლამაზი გოგონა სავარძელზე მიესვენა, თვალები მილულა და ჩუმად წარმოთქვა:

— მშვიდობით, შუქურა, იქნებ როდისმე კიდევ შევხვდეთ.

— შევხვდებით, კატია, უეჭველად შევხვდებით. მალე გამოჯანსაღდი! — გოგონას ლამაზ, ცისფერ თვალებს ცრემლი მოწყდა და ლოყაზე მიეყინა.

— ქალიშვილო, აქ როგორ აღმოჩნდით? — ველარ მოვითმინე და ვკითხე.

— უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვარ, მოხალისედ ჩავეწერე, — მიპასუხა შუქურამ და უმალვე თავისი საგუშაგო დაიკავა.

ჩვენი მანქანა დაიძრა. ბეჟანმა შუქურას გასძახა:

— რა გვარი ხარ, დაო?

— შუქურა სიხარულიძე. თბილისიდან, ლენინის რაიონიდან! — მოისმა გოგონას ზარივით წკრიალა ხმა, — კარგ ჰოსპიტალში მიიყვანეთ კატია!

რას მოვიფიქრებდი იმ წუთში, რომ ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ თვითონ აღმოვჩნდებოდით საშინელ განსაცდელში.

აღმოსავლეთის ნაპირამდე ხუთიოდე კილომეტრი რჩებოდა. თავს დაგვესხა მესერშმიტების წყვილი; ერთმა მათგანმა ჩვენს მანქანას ტყვიამფრქვევის ჯერი დააყარა. ბედზე ტყვია აგვცდა. ერთადერთი ტყვია მანქანის საქარე მინას მოხვდა და ბეჟანი მარცხენა ხელში დაჭრა. მტერმა მეორე შეტევა ვეღარ მოახერხა, ჩვენი თვითმფრინავები შეებნენ.

სახელდახელოდ, როგორც შემეძლო, ბეჟანს ჭრილობა შევუხვიე, გვერდით გადავსვი და საჭეს მივუჯექი.

ძალზე მიჭირდა ყინულზე მანქანის მართვა, მაგრამ, როგორც იქნა, მშვიდობით მივაღწიე აეროდრომამდე.

ის იყო და ის, მას შემდეგ ბეჟანი აღარ მინახავს.

და აი, 34 წლის შემდეგ საზეიმოდ მორთულ ლენინგრადში მოულოდნელად შევხვდი მას.

— შენც სტუმრად ხარ ჩამოსული? — ვეკითხები ბეჟანს.

— არა, ამხანაგო კომისარო, — ძველებურად მომმართა მან, — აქა ვცხოვრობ. დიმიტრი გრიგორის ძევ, თუ მიკადრებთ, წავიდეთ შინ, ეს საღამო ჩემს ოჯახში გავატაროთ, გავიხსენოთ ის მრისხანე დღეები.

მე სიამოვნებით დავეთანხმე. გეზი პოკლონის გორისაკენ ავიღეთ. მალე ბეჟანმა თავისი ბინის კარი გააღო და მხიარულად შესძახა:

— კატია, კატიუშა!

დერეფანში გამოვიდა ქერა, ჭაღარაშერეული ორმოცდაათ წელს გადაცილებული დარბაისელი ქალი, მას ოთხი წლის ბიჭუნა გამოჰყვა.

— გაიცანით, ამხანაგო კომისარო. ეს ჩემი მეუღლე კატიაა. ეს კი შვილიშვილი — ნოდარ ბერიძე, — მითხრა რუსულად ბეჟანმა.

გუმანით მივხვდი, ეს იყო ის კატია ვასილევა, დაჭრილი რომ წამოვიყვანეთ „სიცოცხლის გზიდან".

— შუქურა, შუქურასი არაფერი გაგიგიათ? — ვიკითხე ამ შეხვედრით აღელვებულმა.

ეკატერინეს ნაღვლიანი თვალებიდან ცრემლები მოსწყდა.

— ლაზარეთიდან რომ გამომწერეს, ჩემს ასეულში გამაგზავნეს, იქ გავიგე უბედურის ამბავი, დაბომბვის დროს დაღუპულიყო თავის საგუშაგოზე.

— ამხანაგო კომისარო, — მომიბრუნდა ბეჟანი, — გველესიანი გახსოვთ, ლადოგაზე რომ შეგვხვდა?

— როგორ არა.

— ერთ ავტობაზაში ვმუშაობდით. მერე საწყალი ვიბორგის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა, მიწას მე მივაბარე.

...მეორე დილით მსუბუქი მანქანით ლადოგის ტბაზე ოსინავეცში გავემგზავრენით. ამ დროისათვის ლენინგრადში თბილი, მზიანი დღეები იდგა.

ლენინგრადსა და ოსინავეცს შორის ომის დროს ფაქტიურად გზა არც კი იყო, ხოლო რაც იყო, ისიც ბომბებით გადათხრილი. ახლა ოსინავეცს ლენინგრადთან აკავშირებდა ფართო, კეთილმოწყობილი გზატკეცილი. ასობით მსუბუქი მანქანა, ავტობუსი მიჰქროდა ლადოგისაკენ. ლადოგა ხალისიანად შეგვხვდა, შეუმჩნევლად ირწეოდა კამკამა, მომწვანო წყალი. პაწია ტალღები ნაპირებს თეთრ არშიად ეტყლაშუნებოდა. შევყურებთ ლადოგას, შევყურებთ, ვღელავთ და ვდუმვართ. კარგა გარჯილან ლენინგრადელები, სიყვარულით მოუწყვიათ აქაურობა — მუზეუმები შენობებსა და ცის ქვეშ. აქ ნახავთ იმ მანქანას, რომელმაც პირველმა განვლო ყინულოვანი გზა, საზენიტო ქვემეხს, რომლებმაც მტრის ყველაზე მეტი თვითმფრინავი გაგზავნეს ლადოგის ფსკერზე, ავტობუსს, რომლითაც ბავშვები გადაჰყავდათ დიდ მიწაზე...

წყლის პირას უზარმაზარი წყვეტილი რკალი — „სიცოცხლის გზის" სიმბოლო აღმართულა.

**დიმიტრი შანშაშვილი,**
ავიაციის თადარიგის გენერალ-მაიორი.

## ახალი წიგნები

# მწვანე წელიწადი



რა არის იმის მიზეზი, რომ ზოგიერთ ნაწარმოებს მალე ვივიწყებთ, რატომ ხდება ლექსი თუ მოთხრობა დაწერილია ნიჭიერი და განათლებული კაცის მიერ, მაგრამ მისი ზემოქმედება ძალზე სუსტია? ამას სრულიად უბრალო ახსნა აქვს. რა თქმა უნდა, როცა დარღვეულია ხელოვნების ძირითადი კანონი, მხატვრული აზროვნება შეცვლილია ლოგიკური ცნებებით, ზოგადი მსჯელობით ნაწარმოები მშრალი და უფერულია, მისი სიცოცხლე ხანმოკლეა. ხანმოკლეობის სხვა მიზეზიც არსებობს, როდესაც პოეტი ფიქრობს, შეუძლებელია ობიექტური სინამდვილის შემეცნება, ცხადია, მის მიერ შექმნილი სახეები უაღრესად სუბიექტურია და ფართო საზოგადოებისათვის გაუგებარი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ნიჭი არ კმარა იმისათვის, რომ იყო ჭეშმარიტი პოეტი, ამისათვის აუცილებელია აგრეთვე ჯანსაღი ესთეტიკური პოზიცია, მოწინავე მსოფლმხედველობა. მხოლოდ მართალი, მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოები გაიკვლევს გზას ადამიანთა გულებისკენ.

ეს გზა შოთა ნიშნიანიძემ თანდათანობით გაკაფა, დღეს იგი მთელი არსებით არის შეჭრილი ბუნების სახეთა სამყაროში და ამ სამყაროდან მზის სინათლეზე გამოაქვს ყოველივე ის. რაც ყველაზე უფრო სანუკვარია დიდი ლიტერატურისათვის. მან თავისი მოქალაქეობრივი პოეზიით ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ პოეტი არის ადამიანი, რომელსაც მგზნებარე გული და მაღალი პიროვნული მეობა აქვს.

შოთა ნიშნიანიძის ღრმა რწმენით ცხოვრებისა და ბუნების მამოძრავებელი ძალა სიხარულია.

თვითეულ ბუდეს, აფეთქებულ
კვირტს და ღრუბელს, მიწამ ცას
რომ ასტუმრა, სიხარული შობს, სიხარული ზრდის და სიხარული
უდევს სასთუმლად.

რა თქმა უნდა, „სიხარულია სიცოცხლის დედა, ჩვენი ცხოვრების ძირი, სათავე", სიყვარულისა და სიხარულის გარეშე არ არსებობს ცხოვრება, მის გარეშე ქვეყნად მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა; აქ აღსანიშნავია ისიც, რომ შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში ყველაფერი ბუნებრივია — სიყვარულიც და სიძულვილიც. პოეტის აღფრთოვანება გამოწვეული ახალი სიცოცხლის დაბადებით თუ დიდი აღმოჩენებით უსაზღვროა, ასევე უსაზღვროა მისი სიძულვილი ყოველივე იმის მიმართ, რაც „გულს ამძიმებს და სინათლეს ახშობს". საერთოდ კი „საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმითა და ცხოველმყოფელი კომუნისტური იდეებით, მოწოდებულნი არიან იყვნენ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონებით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყვნენ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება" (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან). სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო შოთა ნიშნიანიძის პოეზია, რაც ესოდენ მკაფიოდ დაახასიათა გიორგი ნატროშვილმა სარეცენზიო წიგნის „მწვანე წელიწადის" (გამომცემლობა „მერანი", 1975 წ.) წინასიტყვაობაში: „თვითონ ეპოქა მოითხოვს პოეტისაგან იყოს ტრიბუნი, მომწოდებელი, დამრაზმველი, შთამაგონებელი; სწორედ ასეთია პოეტი შოთა ნიშნიანიძე. ამაზე მეტყველებენ ჰეროიკული სულით გამსჭვალული მისი ლექსები „კომუნისტები", „პურის მკა ალგეთზე", „საქართველოს ფალავანი", „შეიბ მახვილი", „ჩემი თაობის ბიოგრაფია", „ვაზის სიმფონია", „სიტყვა თანამედროვეს", „დაბადება", „დირიჟორის ჯოხი", „მეგობარ პოეტს" და მრავალი სხვა. რთული და მრავალფეროვანია ნიშნიანიძის პოეტური სამყარო — იგი მარტო ტრიბუნი და მომწოდებელი როდია; იგი ამავე დროს მხატვარია, რომლის ტილოზე ცოცხლობს და მოძრაობს მთელი საქართველო, ჩანს ადამიანის გულის უკეთილშობილესი მისწრაფებანი, ჩანს ყველაფერი, რაც დღეს ადამიანს უყვარს, რასაც ის ზრდის, ეფერება, ეალერსება".

შოთა ნიშნიანიძეს ძალზე კარგად ესმის ლიტერატურის მიზანი, ამას მოწმობს თუნდაც ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები:

რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც და მსახური ხარ რახან, საწერ
მაგიდას კი არ უზიხარ ბარიკადაზე
დგახარ. ბარიკადაზე, ბარიკადაზე!
სიტყვას ავარდეს ბოლი, ჩვენთვის
დაცემულ მრავალ ათასებს შეეხმიანე
ბრძოლით.

შოთა ნიშნიანიძისათვის არ არსებობს გულგრილი ლექსი. მან შესანიშნავად იცის, რომ ხელოვნება შეგნებული მოძრაობისა და ბრძოლის უტყუარი იარაღია. მისი პოეზია გამსჭვალულია მართალი გრძნობით, აღსავსეა ადამიანების სიყვარულით. ამას მოწმობს თუნდაც „მშვიდობა".




# ამ ჩვენს მამულში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ოთარ ლომიძე მეათე ხუთწლედის პირველ დღეებიდანვე თავდადებით შრომობს მარტენის № 2 ღუმელთან.

მოწინავე მეფოლადემ ამას წინათ პატრიოტული თაოსნობა წამოიწყო — 1976 წელი თავისი მაღალნაყოფიერი შრომის წელიწადად გამოაცხადა.

ამ თაოსნობას მეტალურგიული ქარხნის მთელმა კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. რუსთაველი მეფოლადეები ახლა ერთსულოვნად იბრძვიან მეათე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.





სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს: მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის მევენახეებს, რომ ხელი მოჰკიდონ ისეთი მივიწყებული ჯიშების მოშენებას, როგორიცაა: ხიხვი, ბუდეშური, თავკვერა, კრახუნა, მხარგრძელი, მტევანდიდი, ცვლიანი, სიმონასეული და სხვა.

ბოდბისხეველ მევენახეთა ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი ხირსის საბჭოთა მეურნეობაში, ტიბაანის, ძველი ანაგის, ჯუგაანის, ანაგის, ბოდბის და სხვა კოლმეურნეობებში.

მევენახეებს დიდ დახმარებას უწევენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრა, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებმაც გამოყოს ვაზის უძველესი ჯიშების ნერგები.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ამ საშვილიშვილო საქმეს.

თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე არცთუ ისე დიდი ხანია გაიხსნა რესპუბლიკური საყმაწვილო ბიბლიოთეკა, რომელსაც დიდ სამამულო ომში დაღუპულ პოეტის, საქართველოს ლენინური კომკავშირისა და რუსთაველის პრემიების ლაურეატის მირზა გელოვანის სახელი მიენიჭა.

ახალი ბიბლიოთეკა ახალგაზრდების საყვარელ ადგილად გადაიქცა. ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი 100.000-მდე ტომს შეადგენს. ამ წიგნებით სისტემატურად სარგებლობენ მკითხველები.

კარგი იქნება თუ რესპუბლიკური საყმაწვილო ბიბლიოთეკა მჭიდრო კონტაქტს დაამყარებს სხვადასხვა ...ნებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან.



ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიში ამოხეთქა თერმულმა წყალმა, რომლის ტემპერატურა 103 გრადუსია. ახლად აღმოჩენილი თერმული წყლის ბაზაზე დაპროექტდა ექსპერიმენტული სასათბურო კომბინატის მშენებლობა 25 ჰექტარ ფართობზე.

წელს ექსპლუატაციაში შევა კომბინატის პირველი ნაგებობა. სათბური აფხაზეთის კურორტებს ზამთარში მიაწვდის კიტრს, პამიდორს, სხვადასხვა სახის ბოსტნეულს.

ოხურეის თერმულ წყალს გამოიყენებენ აგრეთვე კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვისაც.

ბათუმში დასასვენებლად ჩასული პენსიონერი გ. აბესაძე რკინიგზის ლიანდაგზე გადადიოდა, როდესაც საზღვაო ფორმაში გამოწყობილმა ახალგაზრდამ მოულოდნელად უბიძგა.

პენსიონერი ლიანდაგებს შორის დაეცა. ახალგაზრდა მამაკაცი დასწვდა მოხუცს და გვერდზე გადაიყვანა. იმავე წამს რკინიგზაზე გრუხუნით ჩაიქროლა სამგზავრო მატარებელმა.

ასე გადაარჩინა ადამიანის სიცოცხლე ბათუმის ადმირალ ი. ისაკოვის სახელობის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ვახტანგ ევგენიძემ.

საჩხერის რაიონის სოფელ პერევის საშუალო სკოლის მოსწავლეები გოჩა, ინგა და იგორ შუკაკიძეები სასწავლებლიდან შინ ბრუნდებოდნენ, როცა თოვლით დაბურული მთიდან მათკენ გამოექანა შიმშილისაგან ძალაგამოლეული შველი. ტყის უმწეო შვილს ძაღლები მოსდევდნენ და გაავებულები ჰკბენდნენ.

მოსწავლეებმა ძაღლები გარეკეს, შიშისაგან ათრთოლებული, თვალცრემლიანი შველი ხელში აიტატეს და სოფლისკენ გააქანეს.

მთელი სოფელი უვლიდა შველს: მოასულიერეს, მოუშუშეს ნაკბენი ჭრილობები, მოამაგრეს და როცა გაზაფხულის მზემ ტყე მწვანით შემოსა, შველი ისევ ბუნების წიაღს დაუბრუნეს.



მთას პატრონტაშივით ჰკიდია სანგარი, აბალახებული და უკვე გამქრალი, ირგვლივ სიწყნარეა და მზეა ჩახჩახა, სანგარში აგდია მომწვანო ჩაჩქანი. ჩაჩქანში ბუდეა, ბუდეში... ჩიტი, კვერცხში კი აზრი დევს ყველაზე დიდი.

შოთა ნიშნიანიძე უმთავრესად მეტაფორებით აზროვნებს (ეს ამ ლექსიდანაც ჩანს), მაგრამ მის ლექსებში თქვენ ვერ აღმოაჩენთ (შრომა ტყუილუბრალოდ ჩაივლის) თუნდაც ერთს არარეალისტურ, ირაციონალურ სახეს, შედარებას, ყველა მისი მეტაფორა — მარტივი თუ რთული, ნათელი და გასაგებია, მისთვის უცხოა მადალფარდოვანი, უშინაარსო სიტყვები და გამოთქმები, მისი პოეზიის დამახასიათებელია გამჭვირვალე კლასიკური ფორმა, მხატვრული გამოსახვის ყველა კომპონენტის ერთიანობა. შოთა ნიშნიანიძე ფერმწერს ეჯიბრება, ამ შეჯიბრში იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

იქნებ მზე ჩამოვარდა ბაბილონის გოდლიდან, ჩამოიმსხვრა დახლებზე და ღვინოდ გადმოდინდა? იქნებ დევმა საზამთრო დააგორა ზღაპრიდან და კლდის ძირას მიაფშვნა მტკვრის ელვარე ნაპირთან? მზეა თბილის ქალაქზე ვენახივით გასხლული! მზე ჩახჩახებს დახლებზე ჯაგანივით ასხმული. მზით დახოხბდა ტყეები, ზვრებიც მზით მოიჩითა, მზე მოყონავს ღეღვიდან, მზე მოწვეთავს ფიჭიდან. მზეს ყიდიან დოქებით, წონითა და ცალობით, ყელამდეა ეს მიწა მზის მადლით და წყალობით. მზეა ხმაში, სიტყვაში, მზეა გამოხედვაში, მზეა, შემოდგომის მზე და სურნელი ზედაშის!

ეს მძლავრი მხატვრული ფუნჯით დახატული ბარაქიანი შემოდგომის უაღრესად ემოციური სურათია. აქ მკვეთრად ჩანს პოეტის საკუთარი ხელწერა. საერთოდ კი, შოთა ნიშნიანიძე ქართულ პოეზიაში საკუთარი ხმით და ხელწერით მოვიდა.

მართალია, „პოეტი ცხოვლად მწერალია და არა ფილოსოფოსი“, მაგრამ ერთი კი უდავოა, მწერალი ყოველმხრივ განათლებული ადამიანი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ დაადგენს იმ განსხვავებასა და მსგავსებას, რაც მოვლენათა შორის არსებობს, ვერ გაერკვევა ბუნებაში არსებული ჰარმონიის მიზეზებში. რამდენად ფართოა მწერლის გონებრივი ინტერესები, იმდენად მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი ნაწარმოები. ამ მოსაზრებას ადასტურებს შ. ნიშნიანიძის ლექსი „ილიადის მთარგმნელს“, რომელიც თვალწინ გადაგვიშლის ისტორიულ ამბავთა შორეთს. ვკითხულობთ მის სტრიქონებს და სიხარულს განვიცდით იმის გამო, რომ ასეთი მშვენიერი ნაწარმოები შეიქმნა „ილიადაზე“, რომელშიც როგორც ბელინსკი ამბობს, გამოიხატა შინაარსი დიდებითი, ნამდვილი, მსოფლიო და მსოფლიო ისტორიული, მარადიული და უკვდავი. შოთა ნიშნიანიძის ფართო გონებრივ ჰორიზონტზე მეტყველებს აგრეთვე ლექსი „მიქელანჯელოს მოსე“. აქედან ჩანს, რომ პოეტს მოქანდაკის თვალიც აქვს. მაგრამ რაც ითავარია, იგი ღრმად ჩაწვდა რენესანსის ტიტანის ჩანაფიქრს და კაცობრიობის ამ უდიდეს ქმნილებაზე საკუთარი სიტყვა თქვა. ერთი სიტყვით, შოთა ნიშნიანიძის პოეზია მოიცავს მთელ ცხოვრებას, მთელ სამყაროს, მთელი თავისი მრავალფეროვნებით და მოქმედებებით. მაგრამ პირადად მე მისი ოპტიმიზმი მხიბლავს.

ჩემი ნათესავნი აგერ თითქმის ასი წლის კაცი, კარგა ხანია წლებს ინიშნავს აღდგომის კვერცხზე იმდენ წელიწადს ვიცოცხლებო — ხუმრობით ამბობს, — რამდენსაც კიდევ დავატევო... გადიან წლები... აღდგომის კვერცხზე თარიღები ისე ლაგდება, თითონ ჩინელი ოსტატებიც გაოცდებოდნენ, ბრინჯის მარცვალზე რომ ატევენ ბუდას მოძღვრებას...

(ლექსი „სიცოცხლე“)

აი, რატომ ამბობენ: შოთა ნიშნიანიძის ლექსები „სიცოცხლის დაფუძნების პოეზიააო“; მართლაც, შ. ნიშნიანიძის პოეზია სიცოცხლის დაუშრეტელი წყაროა.

ვლადიმერ ჯიბუტი

# ძველი პრესის ფურცლებიდან

* * *

ერთმა გაკოტრებულმა ვაჭარმა შესჩივლა შეძლებულ ვაჭარს:

— თუ ღმერთი გწამს, მიიღე მოწყალება და მიხსენი უსახსრობისაგან, თორემ გაჭირვება მომდგომია კარზე და მიკაკუნებსო.

— შენც, ჩემო ძმაო, ყური მოიყრუე, ვითომც არ გესმის და კარს ნუ გაუღებ; აბა, რა დროს ფულის თხოვნაა ამ დროსო.

* * *

— ეს რა რენტგენისებური შემწვარი მომიტანეთ!

— როგორ რენტგენისებური, ბატონო?

— ისე რომ მარტო ძვალი სჩანს და ხორცს კი არსად ვხედავ.

* * *

გერმანელს ჰკითხეს:

— რა გინდა რომ ბედნიერი კაცი შეიქნეო.

მან უპასუხა:

— იმდენი ლუდი, რამდენიც კი შემიძლია დავლიოო, და იმდენი ძეხვი, რამდენიც კი შემიძლია შევჭამოო.

— კიდევ რაო? — ჰკითხეს მას.

— კიდევ ერთი ჭიქა ლუდიო.

* * *

— პირდაპირ მითხარი, შეგიძლია თუ არა ჩემი ცოლობა?

— უცნაური კითხვაა! რასაკვირველია შემიძლია, მაგრამ არა მსურს.

* * *

— არ მიირთმევთ რომიან ჩაის?

— კი, ბატონო, გეახლებით! მაგრამ, გეთაყვა, სამოვრის დადგმისათვის ნუ შეწუხდებით, რომს უჩაიოდაც გეახლებით.

* * *

ერთხელ, ერთი მოქალაქე ქუჩაში ცუდად ახსენებდა პრუსიელ ჯარისკაცებს. ამის გამო, მხედრებმა დაიჭირეს და უნდოდათ კარგად ეცემათ, მაგრამ მოქალაქემ ყვირილი მორთო. ბისმარკი ამ ამბავს წააწყდა...

— რა ამბავია?

— ეს კაცი პრუსიას ლანძღავს, უნდა დავსაჯოთ!...

— ტყუილია, — ყვიროდა მოქალაქე, — ბისმარკს ვლანძღავდი და არა პრუსიას!

— გაუშვით ჩქარა, ეგ ხომ პირველი არ არის — ბისმარკს ყველა ლ[illegible]ს!

* * *

თქვენ გბრალდებათ, რომ ცოლს ცემთ. ჯანა არ იცით, რომ ამისათვის თქვენ კანონიერი სასჯელი მოგელით?

— მე, ბატონო მსაჯულო, ყველა სასჯელი მოვიხადე.

— როგორ?

— ცოლის შერთვით, ბატონო!

## ალენ დელონი ახალ ფილმში

ცნობილი რეჟისორი ჟოზე ლოსეი იღებს ფილმს „მონსინიორ კლაინი". რომელშიც მთავარ როლს პოპულარული კინომსახიობი ალენ დელონი ანსახიერებს. მასთან ერთად ფილმში დაკავებულნი არიან ჟანა მორო და მასიმო ჯიროტი.

ფილმი ეძღვნება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ფოტოზე: ალენ დელონი.



## ნარდგენილია ოსკარის პრემიაზე

ფრანგმა კინორეჟისორმა ფრანსუა ტრეფაუტმა გადაიღო ფილმი ვიქტორ ჰიუგოს ქალიშვილზე — „ადელ ჰ-ს სიყვარულის ისტორია". ადელი ვიქტორ ჰიუგოს მეორე ქალიშვილია; მამასთან ერთად გადასახლებაში მყოფმა, ნაპოლეონის გადატრიალების შემდეგ (1851 წ.), შეიყვარა ინგლისელი ოფიცერი ალბერტ პინსონი. ოფიცერმა უღალატა ადელს, სამარცხვინოდ გაიპარა კუნძულიდან და წერილებსაც კი არ წერდა. ფილმში რეჟისორმა შესძლო ეჩვენებინა ძლიერი ქალი, რომელიც მაღალი ინტელექტის, მორალისა და კულტურის ტყვეა. იგი პირველი სიყვარულის ერთგული რჩება, საფრანგეთში ბრუნდება და ღრმად მოხუცებული კვდება.

ფილმში ადელის როლს ასრულებს ახალგაზრდა კინომსახიობი იზაბელა ადიანი („ამომავალი ვარსკვლავი"); კინოსურათში მონაწილეობს აგრეთვე ძველი კინოს ვარსკვლავი ლილიანა გიში.

## უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან

# თითქმის დაუჯერებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

საბჭოთა კავშირში ამჟამად სამ დასახლებულ პუნქტს ჰქვია საფრანგეთის დედაქალაქის სახელი.

ერთი პარიზი ლიტვაშია, მეორე უზბეკეთში, მესამე პარიზი კი ჩელიაბინსკის ოლქში მდებარეობს.

●

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა 26 წლის ენდი ხიუპლმა ამას წინათ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იგი 81 საათის განმავლობაში თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს.

ენდი ხიუპლმა მთელი თამაშის მანძილზე 28 პარტნიორი გამოიცვალა.

●

ყოველი წლის რვა თებერვალს იაპონელი მკერავები, თარგების გამომჭრელები და მოდელიერები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან, წინასწარ დათქმულ ადგილზე მიდიან, საფლავს თხრიან და შიგ მარხავენ... გადატეხილ ნემსებს.

●

19 წლის ამერიკელმა სტუდენტმა ჯონ სტოკმანამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა... ხელის ჩამორთმევაში იგი ნიუ-იორკის ერთ-ერთი ცენტრალური უნივერმაღის შესასვლელში იდგა და ყველას თავაზიანი ღიმილით ართმევდა ხელს.

ჯონ სტოკმანამ რამდენიმე საათის განმავლობაში 8643 ადამიანს ჩამოართვა ხელი.

ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს, რომელმაც თეთრ სახლში მოწვეულ 8518 მოქალაქეს რიგრიგობით ჩამოართვა ხელი.

●

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ამჟამად 25 მილიონი გამოუსწორებელი ალკოჰოლიკია. აქედან 2 მილიონზე მეტი ესპანეთზე მოდის. ეს ციფრი ესპანეთის სრულწლოვანი მოსახლეობის თითქმის 10 პროცენტს შეადგენს.

●

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ გაიხსნა ახალი ბანკი, რომლის ემბლემაზე გამოსახულია ლეონარდო და ვინჩის უკვდავი ქმნილება — ჯოკონდა.

ახალი ბანკი მხოლოდ ლამაზთა სქესის წარმომადგენლებს — ქალებს მოემსახურება.

●

ნიუ-იორკის ბაღებში, სკვერებსა და პარკებში ამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაული.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დანაშაულთა უმრავლესობას გოგონები სჩადიან.

მაგალითად, ამას წინათ ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ბაღში 12-13 წლის გოგონები თავს დაესხნენ 80 წლის ვინმე სტელა ეპშტეინს და პირწმინდად გაძარცვეს იგი.

●

ვიდრე ესპანეთის ფეხბურთის გუნდების „ალისანტესა" და „ორიხუელას" მატჩი დაიწყებოდა, მსაჯ ნიკოლასუ გარსიასთან ვიღაც უცნობი მიიჭრა, დიდი თანხა ჩაუჯიბა და ყურში ჩასჩურჩულა:

— „ორიხუელას" უნდა მოაგებინო!

ამ მატჩში „ალისანტესმა" გაიმარჯვა ანგარიშით 3:0, მსაჯმა კი ფულის აღებისათვის, დისკვალიფიკაცია მიიღო... 25 წლით.

●

ამერიკის შეერთებულ შტატებში შარშან თავისებური რეკორდი დამყარდა... ფირმების გაკოტრებაში.

გასულ საფინანსო წელს ამერიკაში საბოლოოდ გაკოტრდა 250.000 სხვადასხვა ფირმა.

●

ქალაქ ულიანოვსკში ამას წინათ ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

შინ მყოფმა დიასახლისმა კარი გააღო და კინაღამ გულწასული დაეცა იატაკზე. შემოსასვლელში პირდაღებული იდგა ვეებერთელა... სპილო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, სპილო შერი ულიანოვსკში საგასტროლოდ ჩამოსულ მოსკოველ ცირკის მსახიობებს გამოეპარა რკინის გალიიდან.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამოუკიდებელი ანგოლა

25 მაისი აფრიკის განთავისუფლების დღეა

აფრიკა თავისი სიდიდით მეორე მატერიკია ჩვენს პლანეტაზე. მისი ფართობი (კუნძულებითურთ) 30,3 მილიონი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 367 მილიონი.

აფრიკის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1963 წლის 25 მაისს. ამ დღეს ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში მოწვეულმა კონფერენციამ მიიღო აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის ქარტია. ამ ორგანიზაციის მიზანია კოლონიალიზმის მოსპობა, აფრიკის ხალხისათვის უკეთესი ცხოვრების უზრუნველყოფა.

სულ უფრო და უფრო ძლიერდება აფრიკელი ხალხის თავდადებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. მრავალმა სახელმწიფომ ფორმალურად უკვე მიიღო დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ კონტინენტზე ჯერ კიდევ არის ბევრი კოლონიალური და დამოკიდებული ტერიტორიები.

მთელი მსოფლიოს ყურადღება ახლა მიპყრობილია ანგოლისაკენ, რომელიც გმირულად იბრძვის რასისტულ-იმპერიალისტური ინტერვენციის დამარცხებისა და სუვერენიტეტის მოპოვებისათვის.

ანგოლა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანეს სანაპიროზე მდებარეობს. მისი ტერიტორია 1 მილიონ 247 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 6 მილიონამდე კაცს აღწევს. ანგოლის მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტი აფრიკელი ზანგები არიან. ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ლუანდა. ანგოლაში ოფიციალურ ენად აღიარებულია პორტუგალიური ენა.

მოსახლეობის უმრავლესობა ანგოლაში სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ექსპორტის უმთავრესი კულტურებია: ბამბა, შაქრის ლერწამი, ყავა, რომლის წარმოების მხრივ ანგოლას მსოფლიოში მეოთხე ადგილი უკავია.

ანგოლა ხუთი საუკუნის განმავლობაში პორტუგალიელი კოლონიზატორების უღელქვეშ გმინავდა. 1961 წლის 4 თებერვალს ანგოლაში იფეთქა ნაციონალურ-გამათავისუფლებელმა შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის პარტია (მპლა).

შეიარაღებულ ბრძოლაში ჩაბმულმა ანგოლელმა პატრიოტებმა წლების მანძილზე შეძლეს ქვეყნის ვრცელი ტერიტორიის განთავისუფლება. იმ ადგილებში, საიდანაც კოლონიზატორები გააძევეს, მუშაობდნენ სკოლები და საავადმყოფოები, ახალ პრინციპზე ვითარდებოდა მრეწველობა, ვაჭრობა. თანდათან უფრო დიდ ნდობასა და საყოველთაო ავტორიტეტს იხვეჭდა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის პარტია — საყოველთაო ბრძოლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

პორტუგალიაში ფაშისტური დიქტატურის დამხობამ ანგოლელი ხალხის წინაშე ახალი შესაძლებლობანი გახსნა სანუკვარი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები ელოდნენ, რომ დეკოლონიზაცია ანგოლაში საბოლოოდ დამთავრდებოდა სუვერენული სახელმწიფოს შექმნით.

მაგრამ საერთაშორისო იმპერიალიზმს არ ეძინა. რეაქციულ ძალებს ანგოლის სიმდიდრის ხელში ჩაგდება სურთ. მათ აშინებთ ისიც, რომ გამანთავისუფლებელმა შეიარაღებულმა ბრძოლებმა სამხრეთ აფრიკის სხვა დამონებულ ქვეყნებშიც შეიძლება მოიკიდოს ფეხი.

საერთაშორისო იმპერიალიზმმა შეძლო საერთო ენა გამოენახა ანგოლის გამანთავისუფლებელ მოძრაობაში შექმნილ გამთიშველ და განხეთქილების შემტან სხვადასხვა ორგანიზაციებთან.




ეყრდნობოდნენ რა პორტუგალიის მსხვილ მონოპოლისტებს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვათა მხარდაჭერას, გამთიშველები ქმნიდნენ სამხედრო ნაწილებს, იმპერიალისტებისაგან მიღებული ფულით იქირავებდნენ ჯარს და მძაფრ შეიარაღებულ მოქმედებაზე გადასასვლელად ემზადებოდნენ.

1975 წლის მარტში ისინი ღია მოქმედებაზე გადავიდნენ; დაიწყო შეიარაღებული პროვოკაციები. მიზანი ნათელი იყო: ქვეყნის მოღალატეებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ ანგოლის მმართველობა, ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის მთლიანი ლიკვიდაცია მოეხდინათ.

მდგომარეობა უფრო და უფრო იძაბებოდა. ამ გაჭირვების ჟამს ხალხის დასაყრდენსა და მის საიმედო ხელმძღვანელს მხოლოდ ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის პარტია წარმოადგენდა. რევოლუციური ხელმძღვანელობის მოწოდებით, სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის რიგები სწრაფად იზრდებოდა. სახალხო ბრძოლა უფრო შეუპოვარ და მტკიცე ხასიათს იღებდა.

1975 წლის 11 ნოემბერს ანგოლას დედაქალაქ ლუანდაში ზეიმით აღმართეს დამოუკიდებელი და თავისუფალი ანგოლის ეროვნული დროშა. ანგოლა დამოუკიდებელ სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა.

„ამ პროგრესულმა სახელმწიფომ, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე, — დაბადებაც ვერ მოასწრო, რომ უცხოეთის ინტერვენციის ობიექტი გახდა. ეს იმპერიალიზმისა და სამხრეთ-აფრიკელი რასისტების — დამოუკიდებელი აფრიკის დაუძინებელი მტრების, აგრეთვე იმათი ნახელავია, ვინც მათი დამქაშების საძრახისი როლი იკისრა. ამიტომ თავისი დამოუკიდებლობის დაცვისათვის ანგოლის ბრძოლას მხარი დაუჭირეს მთელი მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა, ხოლო ამ ბრძოლის წარმატებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თავისუფლებისადმი ხალხთა მისწრაფებას ვერავინ ვერ ჩაახშობს“.

საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც მხურვალედ მიესალმა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დაბადებას. მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა მეგობრულად შესცქერის ანგოლელი ხალხის დიად ბრძოლას. იზრდება და მტკიცდება ავტორიტეტი ახალგაზრდა სახელმწიფოსი, რომელიც თავდადებით იბრძვის ნათელი მომავლისათვის.

ოთარ ქავთარაძე



ბიბლიოთეკის ინტერიერი.

უცხოეთში გამოცემული წიგნები.



ბიბლიოთეკის საერთო ხედი.



# ცოდნის კერა

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.

ჩვენს რესპუბლიკაში ბიბლიოთეკათა მებაირახტრეა მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. ეს ფუნდამენტური, ერთ-ერთი უძველესი და საუკეთესო ტრადიციების მქონე ბიბლიოთეკა არა მარტო თავის მკითხველებს უწევს საუკეთესო მომსახურებას, არამედ კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ ბიბლიოთეკებსაც ემსახურება. საჯარო ბიბლიოთეკა რესპუბლიკის შორეულ რაიონებში აგზავნის თავის გამოცდილ მეთოდისტებს, რომლებიც სათანადო საუბრებს ატარებენ წიგნების მეცნიერულად დამუშავებასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის შენობა, რომელიც თბილისში ლადო კეცხოველის ქუჩაზე მდებარეობს, 1919 წელს აშენდა. ამ საუკეთესო, ქართული სტილის შენობის ავტორია ცნობილი ხუროთმოძღვარი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ანატოლ კალგინი.

ა. კალგინი 1943 წელს გარდაიცვალა. იგი მცხეთაში, სამთავროს ტაძრის გალავანშია დასაფლავებული.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წიგნების დღევანდელი ფონდი თორმეტ მილიონ-ნახევარზე მეტს შეადგენს.

ბიბლიოთეკაში დაცულია მრავალი უნიკალური წიგნი. მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ მარია მაჯიოს მიერ 1670 წელს რომში გამოცემული „ქართული გრამატიკა", ვახტანგ მეფის სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნი და „ვეფხისტყაოსნის" პირველი ნაბეჭდი ცალი. ბიბლიოთეკაში დაცულია ნიკო ნიკოლაძის უმდიდრესი არქივი და სხვა ძვირფასი მასალები.

წიგნი დროთა განმავლობაში ცვდება, იშლება, გარდა ამისა, წიგნსაც ჰყავს თავისი მღრღნელები — მავნე მიკრობები. თავისი ძვირფასი ფონდის შესანარჩუნებლად. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ხშირად ატარებს წიგნების რესტავრაციას. შარშან ბიბლიოთეკაში 700.000-მდე წიგნი გადასინჯეს და შერჩეული წიგნები სარესტავრაციოდ გაიტანეს. 17.500 წიგნს საიმედოდ გაუკეთდა რესტავრაცია, შემდეგ ისინი ბიბლიოთეკის საამკინძაო საამქროში ტყავის ყდებში ჩასვეს და ისე დაუბრუნეს მკითხველებს.

მკითხველი კი ბევრი ჰყავს ბიბლიოთეკას. აქ ყოველდღიურად 1.000-მდე მეცნიერ მუშაკს, სტუდენტს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტსა და მოსწავლეს უწევენ მომსახურეობას.

მკითხველთა განკარგულებაშია რვა სამკითხველო დარბაზი.

რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან არსებობს წიგნის საერთაშორისო გაცვლის განყოფილება. ეს განყოფილება საქმიანად არის დაკავშირებული როგორც ჩვენი სამშობლოს მოძმე რესპუბლიკების ბიბლიოთეკებთან, აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებთანაც. ამ კავშირის მეოხებით, მკითხველს შეუძლია თბილისში მიიღოს ისეთი ლიტერატურა, რომელიც რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას არ გააჩნია.

სხვა განყოფილებებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის განყოფილება. განყოფილება, პერიოდულად აწყობს გასვლას მსხვილ საწარმოებში, მიაქვს სათანადო ლიტერატურა, ატარებს საუბრებს. მაგალითად, ასეთი „სპეციალისტის დღის" ღონისძიებები მოეწყო თბილისის პლასტმასის ქარხანაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, კიროვის ჩარხმშენებელ ქარხანაში და სხვ.

მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივი — ეს საქმის მოყვარული, მცოდნე, გამოცდილი და სანიმუშოდ დისციპლინირებული კოლექტივი ძალასა და ენერგიას არ ზოგავს, რომ საუკეთესოდ მოემსახუროს მშრომელებს.



სამკითხველო დარბაზი.



ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში.



ციცქნა წიგნები

მიკროფილმების ლაბორატორია





გოლიათი წიგნები.



რესტავრაციის განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი




სიმღერა სამ ხმაში.

მხატვარი გიგლა ფირცხალავა

— ისეთი კარგი რეპეტიტორია, მითხრა, ორ წელიწადში შეგასწავლი რაც კიციო.

— კი, მაგრამ რად უნდა ანბანის შესწავლას ორი წელიწადი?!



# კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 5. კინოფილმ „მზვერავის გმირობის" სცენარის ავტორი. 6. სომეხი კომპოზიტორი. 9. სახლის გვერდზე მიშენებული ან დიდი სახლის ეზოში დადგმული პატარა შენობა. 10. აზიის კუნძული. 11. გამოფენის ექსპონატების დაფა. 15. წიგნის ან ხელნაწერის გვერდების ნუმერაცია. 17. საკრავიერო ანსამბლი. 18. ღია აივანი. 19. საბალეტო ილეთი. 20. გამოგონებაზე უფლების დამადასტურებელი მოწმობა. 24. ქალაქი საფრანგეთში. 25. მრავალწლოვანი მცენარე. 26. კავალერიის ქვეგანაყოფი. 29. ჯილდო. 32. საპქოთა მოქადრაკე. 33. ქართველი მწერალი. 34. ბრაზილიელი მძლეოსანი. მსოფლიო რეკორდსმენი სამმაგ ხტომაში. 35. შვეციის პარლამენტის სახელწოდება.

ვერტიკალურად: 1. ბზრიალა. 2. გარეული ფრინველი. 3. ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული კუროს თანავარსკვლავედში. 4. პერგამენტი. 5. ამერიკელი კინომსახიობი. 7. აზიის სახელმწიფო. 8. გოეთეს დრამა. 12. უკულტურო, ველური ადამიანი, 13. თანამედროვეობის უდიდესი ფიზიკოსი-თეორეტიკოსი. 14. კუნძული ატლანტიკის ოკეანეში. 16. ნავტიკი. 21. ესპანური ქუდი. 22. მომთაბარე არაბი. 23. მცენარეული ნივთიერების ნაჟური. 27. ბურთის ფორმის საგანი. 28. წინამძღოლი, მეთაური. 30. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქი. 31. პურეული მცენარე.

შეადგინა ქ. ქურდოვანიძემ.

გარეკანის პირველ გვერდზე: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში პაატა შამუგია და მისი მწვრთნელი საქ. სსრ დამსახურებული მწვრთნელი სპორტის ოსტატი ჰანს ბურჯანაძე. თარხან არჩვაძის ფოტო. მეოთხე გვერდზე: ბორის სიჭინავა თავის აღსაზრდელებთან. ანზორ გოგოლაძის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 12/IV-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/V-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 51.900, შეკვ. № 1377, უე 04176. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.



- ცაცხვის ტყე.
- ჩანჩქერი.
- თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ზ. დ ა თ უ ა შ ვ ი ლ ი ს ფოტო.







ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა